The concept of death is a basis for all of the actions of Hemingway protagonists. The idea of death lies behind all of the characters' actions in Hemingway's novels. This view implies Hemingway's concept that "when you are dead, you are dead." It means that there is nothing more after death – “nada”. "Nada" is one of the concepts which characterizes the code hero, it is a Spanish word for “nothing”. Believing in “nada” the code hero denies afterlife and the existence of God. “If death ends all activity, if death ends all knowledge and consciousness, man must seek his reward here, now, immediately”. [Carey 2007: 32]

Life is valuable and enjoyable. It must continue. Life is everything and death is nothing. The code hero never acts in a cowardly way. He must not show that he is frightened in the face of death. It is in the presence of death, that he discovers his own sense of being, his own potentiality.

Hemingway often places his protagonist either in war, in bull-fighting rings, or in the mountain of Kilimanjaro where he must confront wild animals determined to kill him. It is in this situation that the Hemingway hero shows his coolness, grace, courage and the discipline, i.e. all those properties that have given rise to the idea of ‘grace under pressure’. The code hero is a man of action. He prefers actions to theory. He does not discuss his philosophy of life, the things he believes in. He always demonstrates his position and viewpoint by his deeds and manner of behavior.

Hemingway code hero/heroine is marked by stoicism in his/her acceptance of the hardships of life, which means that it does not matter how much the life makes him suffer he must never show his suffering to anybody. As a rule, the typical code hero is an individualist and a man possessing free will. He never shows his emotions. He considers that showing emotions and having a commitment to women one shows his weakness.

The code hero leads a very disciplined and structured life amidst a chaotic and destructive world.

Hemingway discards abstract qualities like ‘bravery’, ‘courage’, ‘honesty’ ‘loyalty’, asserting that they are too abstract. They are all just words. He prefers to have concrete things. He is searching for absolute values, which will be the same and constant at every moment and every day. Courage itself, then, is a relative value. It might be true for one moment but not true for the next.

As Hemingway explains it in his novel “Farewell to Arms” (1929: 196) "I was always embarrassed by the words sacred, glorious, and sacrifice and the expression in vain. Abstract words such as glory, honor, courage, or hallow were obscene beside the concrete

names of villages, the numbers of roads, the names of rivers, the numbers of regiments and the dates." The quotation points out that Hemingway is looking for concrete things that one can feel, touch, and see. The name of a place is something that a man knows.

As Carey (2007: 34) claims "for Hemingway the only value that will serve man is an innate faculty of self-discipline. This is a value that grows out of man's essential being, in his inner nature. If a man has discipline to face one thing on one day he will still possess that same degree of discipline on another day and in another situation." Following strict moral rules, the code hero lives a very disciplined and structured life amid a chaotic and destructive world.

Conclusion

The Hemingway code is an ethic or philosophic perspective, which comes close to modern existentialism, since it tries to impart meaning and value to the seeming pointlessness of life. "It also provides freedom for human actions within which morality can operate and human responsibility can be judged in terms of active rather than passive responses." [Rovit 1963: 110].

Violence, struggle, suffering and hardships do not make the code hero in any way pessimistic. Although the 'vague unknown' reality attracts him, destroying his hopes and frustrating his purposes, he does not admit defeat. The strength and dignity of the code hero lies in the fact that, he prefers death to humiliation and stoical endurance to servile submission.

Literature

1. Baker C. (1981): Ernest Hemingway: Selected Letters 1917-1961. New York: Charles Scribner's Sons
2. Bodden V. (2008): Setting the Style: Wording and Tone (The Art of Creative Prose). USA: Creative Education
3. Boon K., A.(2008): Ernest Hemingway: The Sun Also Rises and Other Works. NY: Marshall Cavendish Corporation
4. Carey G. K. (2007): Cliffs Notes on Hemingway's the Sun Also Rises. Lincoln, Nebraska: Cliffs Notes, Inc.
5. Hallengren A. (2004): Nobel Laureates In Search Of Identity And Integrity: Voices Of Different Cultures. USA: World Scientific Publishing, Co.Pte. Ltd.
6. Kennedy X. J. & Gioia D.(2012): An Introduction to Fiction, Poetry, Drama & Writing- 12th Edition. -USA: Longman
7. Merriam-Webster's Dictionary. (n.d.) Retrieved February 11, 2018 from <https://www.merriam-webster.com/dictionary/tyro>
8. Mellow J. R. (1991): Charmed Circle: Gertrude Stein and Company, New York: Houghton Mifflin.
9. Rovit E. (1963): Ernest Hemingway. New York: Twayne Publishers, Inc.
10. Tyler L. (2001): Student Companion to Ernest Hemingway. USA: Greenwood Publishing Group, Inc.
11. Young P. (1966): Ernest Hemingway: A Reconsideration. University Park and London: Pennsylvania State University Press

Принципы и особенности Хемингуэевского “героя кодекса”

Зоранян Марина Георгиевна
Грузинский технический университет
Департамент иностранных языков
Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел.: 593 783 826
E-mail: marinaziger@gmail.com

Резюме

Эрнест Хемингуэй - один из величайших и самых читаемых американских писателей XX века. Он по праву считается мастером романа и рассказа. Понятие «герой кодекса» занимает центральное место в прозе Хемингуэя. «Кодекс» означает правила поведения или рекомендации, которым должен следовать герой. Герой кодекса - хемингуэевский идеальный образ человека, его концепция чести и мужества. Он храбрый, ведет себя с достоинством и следует хемингуэевскому кодексу поведения, действуя как герой. Он постоянно сталкивается с неблагоприятными обстоятельствами и трудностями на своем пути. Герой кодекса имеет свой собственный набор нравов, так сказать моральный кодекс, и он следует принципам, основанным на его вере в честь, мужество и выносливость. Хемингуэй называет моральный кодекс своего героя - «изящество под давлением».

Ключевые слова:

Потерянное поколение, „твердый стиль“, герой Хемингуэя, герой кодекса Хемингуэя, моральный кодекс, „изящество под давлением“.

ჰემინგუეის „კოდექსის გმირის“ პრინციპები და თავისებურებები

მარინა ზორანიანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
უცხოური ენების დეპარტამენტი
კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,
საქართველო
ტელ.: 593 783 826
E-mail: marinaziger@gmail.com

რეზიუმე

ერნესტ ჰემინგუეი XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ამერიკელი მწერალია. იგი სამართლიანად ითვლება რომანისა და მოთხრობის ოსტატად. „კოდექსის გმირის“ ცნება ცენტრალურია ჰემინგუეის პროზაში. „კოდექსი“ ნიშნავს ქცევის წესებს ან რჩევებს, რომლებიც გმირმა უნდა დაიცვას. კოდექსის გმირი წარმოადგენს ჰემინგუეის იდეალურ ადამიანს, პატიოსნებისა და სიმამაცის ჰემინგუეისეულ კონცეფციას. ის მამაცია, ღირსეული და მისდევს ქცევის ჰემინგუეისეულ კოდექსს, იქცევა გმირულად. ამ გზაზე მას მუდამ ელის სირთულეები. კოდექსის გმირს აქვს საკუთარი ზნეობრივი კოდექსი, ის მისდევს პრინციპებს, რომლებიც ეყრდნობა მის რწმენას ღირსებაში, სიმამაცესა და გამძლეობაში. ჰემინგუეიმ თავისი გმირის ზნეობრივ კოდექსს დაარქვა „მოსდენილობა ზეწოლის ქვეშ“.

საკვანძო სიტყვები:

დაკარგული თაობა, „მაგარი“ სტილი, ჰემინგუეის გმირი, ჰემინგუეის კოდექსის გმირი, მორალური კოდექსი, „მოსდენილობა ზეწოლის ქვეშ“.

ფრაზეოლოგიზმების ლინგვოკულტურული ანალიზი ფრანგულ და ქართულ ენებში

სოფიო კახიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ევროპეისტიკის დეპარტამენტი

ნინოშვილის ქ. №35, 6010, ბათუმი,

საქართველო

ტელ.: 577 204 022

E-mail: kakhidze_sophie@yahoo.fr

რეზიუმე

XX–XXI საუკუნეების მიჯნაზე ანთროპოცენტრიზმის როგორც თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის ძირითადი ბირთვის განვითარება, კვლევის მეთოდთა და ობიექტის ცვლილებამ განაპირობა. სწორედ ამ პერიოდში იქნა განვითარებული და შესწავლილი ტრიადა – „ენა-კულტურა-ადამიანი“. გლობალიზაციის ეპოქაში, ამა თუ იმ ენის ფლობა აღარ ნიშნავს მხოლოდ მისი უმდიდრესი ლექსიკური ფონდისა და გრამატიკის ფლობას, არამედ მისი კულტურის გაცნობა და გათავისება აუცილებელი გახდა. ენა სავსეა ისეთი კულტურული მომენტების აღმნიშვნელი რეალიებით, რომელთა გაგება და თარგმნა მშობლიურ ენაზე მათი ცოდნის გარეშე შეუძლებელია, ეს უკანასკნელი კი შესატყვისის არქონის შემთხვევაში, მთარგმნელს ეხმარება მათ განმარტებაში, რათა ადრესატმა სწორად გაიგოს სხვა კულტურის ფენომენი. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა ფრაზეოლოგიზმების შემთხვევა.

საკვანძო სიტყვები:

ლინგვოკულტუროლოგია, ანთროპოცენტრიზმი, ფრაზეოლოგიზმი, იდიომი, კულტურული რეალია, მენტალიტეტი.

შესავალი

ამა თუ იმ ერის განვითარების ეტაპები, ეთნოსის სიბრძნე, სიმდიდრე და საუკუნოვანი გამოცდილება კულტურულ ძეგლებშია შემონახული. მის ნათელი გამოსატყულებაა მითები, ლეგენდები, იგავ-არაკები, ფრაზეოლოგიზმები და იდიომები. სწორედ მათშია ჩამალული ეროვნული სპეციფიკა და ინდივიდუალურობა, ერის მენტალიტეტით გამსჭვალული ღრმა აზრი, რომელიც ენის საშუალებით გადაეცემა თაობიდან თაობას.

ყოველივე ზემოთქმული კი, ინფორმაციის ფასდაუდებელ განძსა და კვლევის ამოუწურავ მასალას წარმოადგენს. კვლევის მიზანია ქართული და ფრანგული ფრაზეოლოგიზმების მაგალითზე ამ ორი ერის კულტურული რეალიების, მათი ეტიმოლოგიისა და მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებათა წარმოჩენა.

ძირითადი ნაწილი

ლინგვოკულტუროლოგია გვევლინება როგორც ანთროპოცენტრული პარადიგმის „პროდუქტი“ და ფრაზეოლოგია როგორც ამ კულტურული რეალიის საგანძური.

მოცემული პარადიგმის ფარგლებში ჩამოყალიბებული, თანამედროვე ლინგვისტიკის ძირითადი მიმართულებებია კონკრეტული ლინგვისტიკა და ლინგვოკულტუროლოგია, რომელიც უნდა იყოს „ორიენტირებული ენაში კულტურულ ფაქტორზე და ენის ფაქტორზე ადამიანში“ (ვ. ნ. თელია). მაშასადამე, ლინგვისტიკაში ლინგვოკულტუროლოგია ანთროპოცენტრული პარადიგმის „პროდუქტია“, რომელიც ვითარდება ბოლო

წლების განმავლობაში. ენათმეცნიერებაში ანთროპოცენტრული პარადიგმის წარმოქმნა გარდაუვალი იყო იმდენად, რამდენადაც თვით ენა თავისი არსით ანთროპოცენტრულია: „ადამიანმა ენაში აღბეჭდა თავისი ფიზიკური გარეგნობა, მისი შინაგანი მდგომარეობა, მისი ემოციები, მისი ინტელექტი, მისი ურთიერთობა ნივთიერ და არანივთიერ სამყაროსთან, ბუნებასთან... მისი ურთიერთობა კოლექტივთან და სხვა ადამიანებთან“ [არუტიუნოვა 1999:3].

ფრანგული და ქართული იდიომები ენის ფუნქციონირების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ. თავიანთი სტრუქტურით ისინი მეტყველების სიმბოლური ერთეულებია, რომლებიც ამა თუ იმ ხალხის ხატოვან აზროვნებას გადმოსცემენ. მათი შედარებისას აღმოჩენილი მსგავსებანი და განსხვავებანი, უთუოდ მოცემული კულტურების მახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენენ. რადგანაც ფრაზეოლოგიური გამონათქვამების გაგება უშუალო კავშირშია მკითხველისა თუ მსმენელის აღქმასთან, ამიტომაც შედარებისას ნათლად წარმოჩნდება ფუნქციური, სემანტიკური თუ ეთნოფსიქოლოგიური თავისებურებანი, რაც ორი ენის ლინგოკულტურულ თავისებურებებში აისახება. როგორც ი. კარაულოვი აღნიშნავს: „შეუძლებელია ენის შეცნობა, თუ არ გასცდები მის საზღვრებს, თუ არ მიმართავ მის შემქმნელს, მის მატარებელს, მის მომხმარებელს-ადამიანს, კონკრეტულ ენობრივ პიროვნებას“ [კარაულოვი 1987: 91].

კულტურა მთელი თავისი სიღრმით, ლაკონურობით, დახვეწილობითა და სიდიადით ფრაზეოლოგიზმებშია ჩაქსოვილი. მყარ გამონათქვამებში მოცემული ეროვნული კულტურის იმპლიციტური აზრი, სუბიექტისადრე მიმართული, ის ერთგვარი ინდივიდუალური შინაგანი სამყაროს შესახებ მენტალური აზროვნების პროდუქტია, რომელიც ენის საშუალებით „გარეთ გამოღწევადი“ ხდება. სწორედ ეს უნიკალურობა ანიჭებს მას

კულტურულ ხასიათს. მასლოვას მოჰყავს ფ. ბუსლაევის აზრი, ფრაზეოლოგიზმები თავისებური მიკროსამყაროებია, რომლებიც მოიცავენ ზნეობრივ კანონსაც, საღ აზრსაც, გამოსატულს ლაკონური ნათქვამის სახით, რომლებიც შთამომავლობას სახელმძღვანელოდ უანდერძა წინაპრებმა. ეს არის მთელი ეროვნული ენის სული, რომელშიც განუმეორებლად აისახება ერის სულიცა და თავისებურებაც [მასლოვა 2001: 82].

ვ. თელია წერს, რომ ენის ფრაზეოლოგიური შემადგენლობა, ესაა „სარკე იდენტიფიცირებისა“, ენის მატარებლებს სამყაროს, სიტუაციის განსაკუთრებულ ხედვას სწორედ ფრაზეოლოგიზმები ახვევს თავს“ [მასლოვა 2001: 82]. მათში ჩაქსოვილი ქცევა, რიტუალი, წეს-ჩვეულებანი მას ეროვნულ კოლორიტს ჰმატებს. ამგვარად, ხაზგასასმელია ქართული ერის ყოფა-ცხოვრებისეული ინფორმაციის მატარებელი ფრაზეოლოგიზმები, რომლებშიც სომატიზმებიც შეინიშნება: როცა მუცელი უკბილოდ ფაფასა სჭამდაო! – როცა ცოდნა, მიხვედრილობა საჭირო არ იყო. თ. სახოკიასეული განმარტებით, ფრაზეოლოგიზმი ნიშნავს სოფლის მეურნეობის გაპარტახებას. არანდით მოსახვეტია - ბლომადაა. არანდი სამეურნეო იარაღია, რომელსაც კალოზე გაღეწილი პურისა და ნამჯის მოსახვეტად იყენებდნენ.

ფრანგულ ენაში იგივე რეალიის შემცველი იდიომებია: *Avoir le dos au feu et le ventre à table* – Être confortablement installé, avoir ses aises pour faire bonne chère. საგარაუდოდ, გამონათქვამი XVI ს. მიეკუთვნება (გვხვდება 1531წ. კლემან მაროსთან). თუმცა, საფრანგეთის აკადემიის მიერ სხვადასხვა წელს გამოცემულ ლექსიკონებში, მას სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა: აღვირახსნილობა, ჭამისმოყვარული, ჭამისას განცდილი კომფორტი. საბოლოოდ ლექსიკონი Littré მიუთითებს, რომ ის უბრალოდ კომფორტში მყოფი ადამიანის დასახასიათებლად გამოიყენება. *Voir midi à sa porte* – Juger quelque

chose ou une situation selon son propre point de vue – რაღაცის საკუთარი ხედვისამებრ გადაწყვეტა. გამონათქვამის წარმოშობის მიზეზი ოდესღაც არსებული მზის საათი გახლავთ, რომელიც სამხრეთისკენ ყოფილა ორიენტირებული. სოფლის მაცხოვრებელნი სწორედ შესასვლელ კართან დამაგრებული საათისკენ მიბრუნებით, არკვევდნენ შუადღეს, რომელიც, რა თქმა უნდა, ყველასთან განსხვავებულად ჩანდა.

ფრაზოლოგიზმთა უმრავლესობას, რომლებიც მატერიალური კულტურის სფეროზე მიუთითებს, განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. ასეთი კონცეპტებია: Carotte – სტაფილო, Pissenlit- ბაბუაწვერა, Poire- მსხალი, Pomme- ვაშლი და ა.შ.

ეს Carottes sont cuites- Tout est perdue, il n'y a plus aucun espoir – ყველაფერი დაკარგულია. XVII-ში სტაფილო ღარიბების საკვებ პროდუქტად მოიაზრებოდა. მოგვიანებით გამონათქვამი „ne vivre que de carottes“ ნიშნავდა ძუნწად ცხოვრებას. სტაფილოსთან დაკავშირებული ეს დამაკნინებელი მნიშვნელობა XIX ს-ის ბოლომდე შემორჩა, თუმცა დამატებით გაუცნობიერებლად „être mourant – მომაკვდავის“ უარყოფითი კონოტაციაც შეიძინა.

Manger les pissenlit par la racine- Être mort et enterée ფრაზოლოგია აღნიშნავს გარდაცვალებასა და დაკრძალვას ანუ ადამიანის მდგომარეობას, რომელსაც არაფრის ჭამა აღარ შეუძლია. თუმცა XIX ს-ში, ამ გამონათქვამის წარმოშობის პერიოდში, მიწისქვეშ მყოფს, სავარაუდოდ, შეეძლო რაღაც მცენარის ფესვებთან ჰქონოდა წვდომა. მაგრამ რატომ კონკრეტულად ბაბუაწვერა? სავარაუდოდ იმიტომ, რომ ის ახლად გადაბრუნებულ მიწაზე ყველაზე სწრაფად აღმოცენდება, სასაფლაოზე კი ის ყაყაჩოებსა და იასამნებზე სწრაფად იზრდება.

Couper la poire en deux – რაღაცის თანაბრად გაყოფა, კომპრომისზე წასვლა. ამ გამონათქვამის მნიშვნელობა მარტივად გასაგებია.

მაგრამ რატომ მსხალი და არა სხვა რამ? (როგორც მაგალითად ქართულშია: ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო). ლიტერატურაში ის სავარაუდოდ 1980 წლიდან ჩნდება, კერძოდ 1982 წ. ბატონი ფელიქს გალიბოსა და ლუსიენ კდესონუას მიერ დადგმულ სკეტჩში სათაურით „la poire en deux“, რომელშიც სცენაზე მყოფი ორი პერსონა ამ ფრაზოლოგიის შეთავაზებით ასრულებს კამათს.

საყურადღებოა ენაში ისეთი იდიომების არსებობა, რომელთა თარგმნაც შესაბამისი ეკვივალენტების უქონლობის გამო (წარმოადგენენ რა კონკრეტული კულტურის მახასიათებლებს), გარკვეულ სირთულეებს წარმოქმნიან. ამის ბრწყინვალე მაგალითია ქართული ფრაზოლოგიზმი: ტყემალზე ზის – არაფერი იცის რაიმეს შესახებ. ტყემალი ქლიავისებრთა სახეობის ხილია და ის ფრანგი ეროვნების ადამიანისთვის გაუგებარია მის ენაში შესატყვისის არარსებობის გამო. ამიტომაცაა თვით კონცეპტი კულტურული რეალია. იგივე შეიძლება ითქვას ქართულ იდიომზე მჭადივით დაშლა. რეალია მჭადი – სიმინდის ფქვილისგან დამზადებული ერთგვარი პურია, რომელიც მარტივად ტყდება. აქედან მომდინარეობს ფრაზოლოგიზმის მნიშვნელობაც – რაღაც არ მიდის ისე, როგორც საჭიროა. ფრანგულ ენაში სიტყვა მჭადის შესატყვისის არარსებობის გამო, ის მხოლოდ ქართული ენის მცოდნისა და ამ ქვეყნის შესახებ გარკვეული ფონური ცოდნის მქონე ადამიანისთვის იქნება გასაგები. იგივე შეგვიძლია ვთქვათ იდიომზე გუშინდელი ღლაპი – გამოუცდელი.

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ იდიომები რთული სემანტიკური ფორმირებებია, რომელთა განუყოფე-

ლი ნაწილია ლინგვოკულტურული ასპექტი. სწორედ ეს ასპექტები წარმოადგენენ ერის სულიერი და მატერიალური ღირებულებების გადაცემის, შეგროვებისა და წარმოჩენის საშუალებებს. ენაში ინახება ერის კულტურის ყველაზე ფაქიზი წერილმანები, რომლებიც სპეციფიკური და უნიკალურია, რადგანაც განსხვავებულად ასახავენ სამყაროს და ადამიანს.

ლიტერატურა

1. Телия В. Н. (1996): „Русская фразеология: Семантический, прагматический и лингвокультурологический аспекты“. Школа «Языки русской культуры». Москва.
2. ოშიაძე ს. (2006): ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება. სადოქტორო დისერტაცია, არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი
3. სახოკია თ. (1950-1955): ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. ტ. I-II. სახელგამი, თბილისი
4. სურგულაძე ნ. (2009): ზონიმიტა და ანიმალურ სომატიზმთა შემცველი ფრაზეოლოგიზმები ფრანგულ და ქართულ ენებში”, ბათუმი.
5. ქადგიშვილი ნ.,ახვლედიანი ც.,წულაძე კატაოზიშვილი ნ., (1998-2000): ფრანგულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, ტ. I-II-III
6. Арутюнова Н. Д. (1999): „Метафора в языке чувств//Язык и мир человека“. Языки русской культуры. Москва
7. Кривенко Г.А. (2012): Антропоцентризм в парадигме современного знания. Журнал: Вестник Иновационного Евразийского Университета (Бывший Павлодарский). Статья. Филология. Павлодар
8. Караулов Ю. Н. (1987): „Русский язык и языковая личность“, Изд. Наука.Москва

9. Кущева О.Ю. (2006): „Антропологическая парадигма в современной лингвистике“. Вестник Адыгейского Государственного университета. Языкознание
10. Маслова В. А. (2001): „Лингвокультурология“. Москва
11. Пименова М. В., Кондратьева О.Н. (2011): „Концептуальные исследования“. Изд. Флинта, Наука. Москва

ინტერნეტრესურსები

12. <https://cyberleninka.ru/article/n/antropotsentrizm-kak-vazhneyshiy-priznak-sovremennoy-lingvistiki>
13. <https://articlekz.com/article/13284>
14. <http://www.expressio.fr/>

Lingvocultural Analyses of Phraseologisms in French and Georgian Languages

Sophio Kakhidze
Batumi's Shota Rustaveli State University
European Department
35 Ninoshvili str., 6010, Batumi, Georgia
Tel.: 577 224 022
 E-mail: kakhidze_sophie@yahoo.fr

Abstract

On the boundary of 20th-21st centuries, the development of anthropocentrism as the nucleus of contemporary communication linguistics was caused by the change of the methods and object of research. In the very period the triad – “Language-Culture-Man” was developed and studied. In the epoch of globalization, knowledge of this or that language doesn't mean only the knowledge of its richest lexis and grammar, it also means the acquaintance with its

culture, mastering of which has become necessary. Language is full of cultural realities the translation of which into native language is impossible without knowing them. In case of the absence of equivalent, this knowledge helps the translator to explain them in order to make the addressee understand the phenomenon of other culture. Hence the case of phraseologisms is especially noteworthy.

Keywords:

Linguo-culturology, anthropocentrism, phraseologism, idiom, cultural reality, mentality.

Лингвокультурный анализ во французском и грузинском языках

*Кахидзе София Омаровна
Батумский государственный университет
им. Шота Руставели
Департамент европейстики
Ул. Ниношвили №35, 6010, Батуми, Грузия
Тел.: 577 224 022
E-mail: kakhidze_sophie@yahoo.fr*

Резюме

Развитие антропоцентризма на рубеже XXI века, как основного ядра современной коммуникативной лингвистики, определили перемены методов исследования и объектов. В этом периоде развивается и изучается триада – „язык-культура-человек“. В период глобализации нельзя довольствоваться знанием богатого лексического фонда и грамматики того или иного языка, а стало необходимым ознакомление и освоение культуры данного языка и социума. Язык полон реалиями таких культурных моментов, перевод которых невозможен без их знания. В случае неимения соответствующей формы, переводчик разъясняет адресату, как правильно понять феномен чужой культуры. С этой точки зрения, необходимо особое внимание уделять фразеологизмам.

Ключевые слова:

лингвокультурология, антропоцентризм, фразеологизм, идиома, культурная реалья, менталитет.

Non-verbal Communication Methods in Teaching ELF

Manana Kikilashvili

Tbilisi State University

Center of Language

36, Chavchavadze Av., 0179, Tbilisi, Georgia

Tel: 599 247 111

Email: manno_3570@yahoo.com

Abstract

This paper deals with the types of non-verbal communications and its role in teaching English as a foreign language and their sample applications in the language classroom. The issue is studied from the semiotic (Semiotics, also called Semiology, the study of signs and sign-using behaviour. It was defined by one of its founders, the Swiss linguist Ferdinand de Saussure, as the study of “the life of signs within society.”) point of view. The verbal and the non-verbal aspects of language teaching should not be kept separate since they are closely interrelated and interdependent. The use of signs, symbols and visual aids helps enhance of the learning capacity of the language learner both at cognitive and meta-cognitive levels.

Key Words:

Semiotics, language teaching methods, cognitive, meta-cognitive.

Introduction

Non-verbal communication was founded in 1872 by Charles Darwin's researches and it was based on expressing of human beings' and even animal emotions. Darwin's works opened a new way to the imagination of the influence of non-verbal communication, expression and signals. Communication - this is the relation without words, only with manners, appearance, gestures, face expressions, vision etc. This is the best way to understand other people's feelings, emotions. We can feel everything, without words by the non-verbal communication. Non-ver-

bal communication is a domain of semiotic studies. As it is known the foundation of semiotics must be laid with perception. The objects of perception are percepts. Percepts are not the material objects in the physical realm that the mind imagines (rightly or wrongly) that it is sensing. Visual percepts are patterns of area (shape, size, and position) and color over a two-dimensional field. Audial percepts are patterns of pitch and volume over time.

There are about millions of gestures all over the world. They are different according to cultures and different fields. It is very important for us to know the body language, as 55% of communication is expressed by it. We agree with the opinion of Rudolf Steiner (25 February 1861 – 30 March 1925) an Austrian philosopher, literary scholar, educator and social thinker that this is the right ability to penetrate true, real emotions which are hidden in human beings. Some branches of art, such as ballet, painting, music are fully based on the non-verbal communication or the emotions which are reflected within them can be perceived with the help of the non-verbal way. We have a sense of calmness, sorrow, love, harmony without words, without saying and they are stronger than ever.

Non-verbal communication is the leader among other types of communication. That is why, teachers especially need strong communicative abilities for better classroom management. We should teach our students and learners how to use the body language. They easily notice our emotions, make contacts with us and properly perceive their teachers' attitude towards them.

Everything speaks in the classroom-beginning with the material subjects up to silence. Kids learn non-verbal communication earlier than verbal communication. That is why, it carries a great importance for students. They know more than they can express it with words. Verbal communication is limited for them, non-verbal is wider and brisker as it is considered to be 1. Reliable and says very much; 2. Words

are limited;3.Non-verbal signals are stronger; 4.It is more reliable and trustworthy;

Main body

Categories of non-verbal communications

Generally four categories of non-verbal communication are singled out. They are:

- 1.Physical
- 2.Symbols (icons) and signs
- 3.Signals
- 4.Esthetic

Using of these four categories we suggest some examples of it, that were employed in the classroom:

1. Physical Communication: – laughing, pose of eyebrows, contacts with eyes and others are expressed by different mimes of face. Their using is effective at any lessons.

2.Symbols (icons),signs: Using visual material makes a lesson more effective, symbols speak, students' involvement increases and their motivation as well. That is why it is the most significant to select visual material which will be properly related to the topic of the lesson, together with taking into consideration students' interests and their age.

Symbols which are often used while answering positive and negative responses are presented below:



While assessing our students, except comments, we are able to use non-verbal method as well. For example, the method which is expressed on the picture is very effective while assessing and it represents the case of answering more correct responses. We can make the student stand at the picture who has bigger and stronger muscles than his/her classmates.

When a student knows the right answer, we can

call him/her at the board and standing at the drawing expressing the lighted bulb as the symbol of the right answer and let him/her answer the question.

3. Signals: flags, colors, ringing of the bells-these are the signals which are full of different meanings. We can work out their number together with our students, for example, having a small bell in our classroom and besides its function to ring it at the beginning or at the end of the lesson, also add to it an extra function. When a student answers and it is satisfactory, let him/her indicate with the ringing of this bell to stop or showing them red and green flags. The student answering correctly, give him/her the green flag and whose answer will not be right,- give the red one.

4. Esthetic Communication can be expressed in music, dancing, art where costumes, sounds, poses and drawings speaking instead of words.

Mixing pictures with texts is the method which gives us a chance to broaden students' abilities of reading, perceiving contents deeper and critical thinking. If a student has an ability to make parallels between visual material and the content of the text, then it will be the bases which helps them to form reading skills. Visual material help them in categorizing of information, developing text and creating new ideas.

We should keep in our minds well that non-verbal communication cannot either hide or falsify them, the can say only the truth and truth and nothing more!

Finally, non-verbal communication,-this is a strong mean for establishing an effective communication and developing high-standard quality thinking abilities with students and learners.

Using Non-Verbal Communication in Different Skills of English

Semiotics is widely used while teaching English as a foreign language and this is the one of the most effective way of perceiving things specifically when we are intending to implement student oriented teaching through different language skills including **reading, writing, listening and speaking**. As for teaching grammar it is easier to find some symbols

or doing different actions or miming while teaching, for example, tenses or some grammar structures. Although we come across the most interesting cases of using symbols mostly while teaching **speaking** and **vocabulary**.

Bellow we will try to present some methods which we use very often at the lessons or lectures of general English when the focus is on learning **grammar** or **speaking**.

Teaching Speaking :

We are going to present the activity concerning with getting to know which we use at the very first lesson with the learners of elementary level. We need: a board and a board marker.

Procedure:

Step 1 A teacher stands at the board and writes some symbols there, e.g. in the middle of the board she/he writes her/his name, in the right corner above she/he draws, for example a flower, in the left corner above she/he writes his/her date of birth, in the right corner below he/she writes somebody's name (it may be the name of his/her family member) and etc.

Step 2 After this, she/he asks the students the meanings of the drawings and symbols. E.g. **What does the flower in the left corner mean?** Students try to understand and they say different versions.

Step 3 A teacher listens to students' versions and then he/she tells them about the words and symbols on the board, e.g. if there is the name in the middle of the board, she/he says: **This is my name, so I'm...**, if there is the symbol of flower, he/she says **I like flowers or I am fond of flowers**, if there is for example the date 7/May, he/she says **I was born on the seventh of May or My birthday is on the seventh of May** and etc.

Step 3 After introducing himself/herself teacher asks each student to come to the board and do the same.

Step 4 Each student comes to the board and does the same activity through different symbols and drawings.

Teaching Grammar:

As soon as we show our students the open left

hand, they already understand that they have made a mistake. This is not only our discovery but it is very popular among the English teachers in England and we share their experience as well.

E.g. a student says the sentence:

He plays at the piano

Open your left hand back to the students, begin counting from your little finger, each finger means one word.

If the third word is extra, bend the long finger and "throw" or bend it: a student will repeat the sentence without it.

Some versions of finger manipulation:

- **Changing a word**

Point students to the wrong word on the finger and mime that he/she used a wrong word

- **Adding a word**

Widely open those words-fingers where we need to place another word and show this spot through one of any fingers of the right hand.

It is also well known that we can correct a lot of mistakes and point to many objects through gestures. We can make up some gestures expressing of something ourselves and teach them our students as well. E.g. if we hide our thumb behind our back, it may indicate to the past tense, or the palm which is opened in front of us, may express the future tense. Crossed hands may express a wrong word order and etc.

Conclusion

In language teaching, the teachers use different methods depending on the goals and objectives of the course. Taking into consideration the students' needs, a variety of materials are used for different purposes in the language classroom. Besides their linguistic and pedagogic value, most of these materials have semiotic value. These methods help the language learner to get to know more about the social and cultural cues in the target language. Such symbols also fasten the cultural acquisition of the foreign language learner. For a better understanding in the target lan-

guage, students and teachers should not only undergo training in language, but also a socializing experience. By doing so, the students find the opportunity to develop their sociolinguistic competence which both broadens the students' education by presenting more cultural input, and exercises semiotic signs and symbols in a variety of activities.

To sum up, the students learn the linguistic and sociological aspects of language through methods. In this respect, the language teacher should pay attention to the use of semiotic symbols as a part of his/her language course. It should be born in mind that the more the teachers activate the use of these symbolic signs and symbols through activities in methods, the better the students achieve the social and linguistic aspects of the target language and are able to melt them in the same spot.

Literature

1. Penny Ur (1991): A Course in Language and Teaching, Cambridge University Press
2. Harmer J. (2011): The Practice of English Language Teaching. New Edition. Longman
3. Jim Scrivener (2009): Learning Teaching, New Edition. Macmillan. Heinemann
4. Khomeriki M. (1999): How to teach English. Tbilisi
5. Hodge R. and Kress G. (1988): Social Semiotics. Cornwall: Polity Press
6. Hutchinson T. and Sunderland J. (1995): Hotline Elementary. Oxford: Oxford University Press
7. Hymes D. (1971): Competence and Performance in Linguistic Theory. In R. Huxley and E. Ingram (eds.) Language Acquisition: Models and Method. London: Academic Press
8. Poole D. (1992): Language Socialisation in the Second Language Classroom. Language Learning No.42.vol.4
9. Richards J. C. and Rodgers T. S. (1990): Approaches and Methods in Language Teaching: A De-

scription and Analysis. Cambridge: Cambridge UP.

10. Saussure Ferdinand de. (1983): Course in General Linguistics. trans. Roy Harris. London: Duckworth

11. Sebeok T. A. (1985): Contributions to the Doctrine of Signs. Lanham: University Press of America

Internet Resources

https://en.wikipedia.org/wiki/Nonverbal_communication

<http://www.education.gov.gy/web/index.php/teachers/tips-for-teaching/item/1696-verbal-non-verbal-communications-in-the-classroom>

<http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.572.4060&rep=rep1&type=pdf>

http://dspace.uni.lodz.pl:8080/xmlui/bitstream/handle/11089/15153/14-217_230-Kaluska.pdf

არავერბალური კომუნიკაციის მეთოდების გამოყენება ინგლისური ენის სწავლების პროცესში

მანანა კიკილაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ენების ცენტრი

ჭავჭავაძის გამზირი №36, 0179, თბილისი,

საქართველო

ტელ.: 599 247 111

E-mail: manno_3570@yahoo.com

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია არავერბალური კომუნიკაციის სხვადასხვა სახეობა, მათი როლი ინგლისური ენის, როგორც უცხო ენის სწავლებაში და განხილულია კლასში გაკვეთილის მსვლელობის დროს გამოყენე-

ბული ნიმუშები. სემიოტიკა ან სემიოლოგია შეისწავლის ნიშნებს, სიმბოლოებს და მათ ქცევაში გამოყენებას. მისი ერთ-ერთი დამფუძნებელია, შვეიცარიელი ლინგვისტი ფერდინანდ დე სოსიური, რომელიც ნიშანს განსაზღვრავს როგორც “ნიშანთა არსებობის შესწავლას საზოგადოებაში». მისი თვალსაზრისით თუკი ვიმსჯელებთ, ვერბალური და არავერბალური ასპექტები ენის სწავლებისას ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არ უნდა იყოს განხილული, რადგან ისინი მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან. ნიშნების, სიმბოლოებისა და ვიზუალური საშუალებების გამოყენება გაკვეთილის მსვლელობის პროცესში მოსწავლეებს ეხმარება ათვისების უნარის გაუმჯობესებაში როგორც შემეცნებით, ასევე მეტა-შემეცნებით დონეზე.

საკვანძო სიტყვები:

სემიოტიკა, ენის სწავლების მეთოდები, კოგნიტური, მეტაკოგნიტური.

Использование методов невербальной коммуникации в процессе изучения английского языка

Кикилашвили Манана Ражденовна
Тбилисский государственный университет
Центр языков
Пр. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел : 599 247 111
E-mail: manno_3570@yahoo.com

Резюме

Работа посвящена различным типам невербальной коммуникации, их роли в изучении английского языка как иностранного и изучению

образцов, используемых во время уроков. Семиотика или семиология изучают знаки, символы и их поведение. Один из его основателей, швейцарский лингвист Фердинанд де Сосюр, который определяет знак как «изучение существования знаков в обществе». По его мнению не разделяются словесные и невербальные аспекты языка, потому что они находятся в тесной взаимосвязи. Символы, знаки и визуальные дисплеи для использования во время урока помогают студентам улучшить способность обрабатывать как когнитивный, так и метакогнитивный уровень.

Ключевые слова:

семиотика, методы преподавания языка, когнитивные, метакогнитивные.

ესპანეთის ოფიციალური ენების ენობრივი მდგომარეობა და პოლიტიკა

მარინე კობეშავიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო

ტელ: 591 222 007

E-mail: mkobeshavidze@yahoo.es

ნინო ჭრიკიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო

ტელ: 598 165 756

E-mail: nchrikishvili@yahoo.com

რეზიუმე

ესპანეთი ლინგვისტური მრავალფეროვნებით გამორჩეული ქვეყანაა. პირენეის ნახევარკუნძულზე ხალხური ლათინურის საფუძველზე შექმნილმა ენებმა ევოლუციის სხვადასხვა გზა განვლეს და გადალახეს არაერთი რთული პერიოდი. განსაკუთრებით რთულ პირობებში უხდებოდათ არსებობა დომინანტი ესპანური ენის მიერ შევიწროებულ რეგიონალურ ენებს, რომელთაც მუდმივად გადარჩენისათვის უწევდათ ბრძოლა. კატალანური, გალისიური და ბასკური ენებისათვის უმნიშვნელოვანესი თარიღია 1978 წელი, როცა ესპანეთის ახალი კონსტიტუციით მათ ქვეყნის კოლოფიციალური ენების სტატუსი მიენიჭათ. სწორედ ამ ენებს და მათ თანამედროვე მდგომარეობას ეხება წინამდებარე სტატია, სადაც გამოყენებულია სხვადასხვა წელს ჩატარებული კვლევების მონაცემები, რაც საშუალებას გვაძლევს დინამიკაში დავაკვირდეთ ესპანეთის რეგიონალურ ენებს.

საკვანძო სიტყვები:

კატალანური ენა, გალისიური ენა, ბასკური ენა.

შესავალი

ესპანეთის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თარიღია 1978 წელი. სწორედ ამ წელს მიიღეს დასავლეთის დემოკრატიულ ტრადიციებთან სრულად ინტეგრირებული ახალი კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც ესპანეთი დემოკრატიული ქვეყანა გახდა. ამავე კონსტიტუციით ესპანეთის რამდენიმე ოლქს აღუდგინეს წლების წინ გაუქმებული ავტონომია და მკაფიოდ განსაზღვრეს ქვეყნის ლინგვისტური მრავალფეროვნების საკითხი. 1978 წლის კონსტიტუციაში ვკითხულობთ:

3.1. კასტილიური არის ქვეყნის ოფიციალური ენა. ყველა ესპანელს აქვს მისი ცოდნის ვალდებულება და გამოყენების უფლება.

3.2. ოფიციალურია დანარჩენი ენებიც, მაგრამ მხოლოდ შესაბამის ავტონომიურ ოლქებში.

3.3. ესპანეთის სხვა ლინგვისტური ვარიანტები არის კულტურული მემკვიდრეობა და იგი იქნება განსაკუთრებული პატივისცემისა და დაცვის ობიექტი.

წინამდებარე ამონარიდიდან ვიგებთ, რომ ესპანეთის მთელ ტერიტორიაზე არის მხოლოდ ერთი ოფიციალური (ესპანური, იგივე კასტილიური) და რამდენიმე კოლოფიციალური ენა (კატალანური, გალისიური და ბასკური), რომლებიც გამოიყენება კონკრეტულ ავტონომიურ ოლქებში კასტილიურთან ერთად. კონსტიტუციაში საუბარია სხვა ლინგვისტურ ვარიანტებზეც (ლეონური, არაგონული, არანული), რომელთა შენახვა და გაფრთხილება ესპანეთისა და ესპანელი ხალხის ვალდებულებაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში განსაკუთრებით აქტუალური გახდა მეოთხე ჯგუფის დამატების საკითხი, სადაც გაერთიანდებოდა ის ენები, რომელთაც არანაირი ოფიციალური სტატუსი არ აქვთ (ქალაქ სეუტაში გავრცელებული არაბული და ესპანეთში მცხოვრები ბოშების ენა - კალო).

ძირითადი ნაწილი

ესპანეთში ბოლო ათწლეულებში განვითარებული მოვლენების გამო განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია ქვეყნის რამდენიმე ავტონომიური ოლქი. ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კატალუნიის, გალისიასა და ბასკების ქვეყანაში. მონარქიის დამხობის და ესპანეთის რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ (1931 წ.) გალისიაში ავტონომიის პროექტი შეიმუშავეს, რომელიც მოიწონეს რეფერენდუმის გზით (1936 წ.). თუმცა, სამიოდე კვირაში წამოწყებულმა ფაშისტურმა ამბოხმა გალისიის ავტონომიის შექმნას ხელი შეუშალა. შედარებით სწრაფად განვითარდა მოვლენები კატალონიაში. 1932 წელს კატალონიას ავტონომიის სტატუსი მიენიჭა, რაც გული-სხმობდა ენობრივ ავტონომიას და ადგილობრივი პარლამენტისა და მთავრობის ფუნქციონირებას. დასახულ მიზანს მიაღწიეს ბასკებმაც, მაგრამ მოვიდა რა ფრანკო ქვეყნის სათავეში, გააუქმა კატალონიისა და ბასკების ქვეყნის ავტონომია და აკრძალა რეგიონალური ენები. საუკუნეების განმავლობაში კასტილიური ენის მიერ შევიწროებული და XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მთელი რიგი ენობრივი რეფორმების (და არა მარტო) შედეგად ძლივს გამოცოცხლებული კატალანური, გალისიური და ბასკური ენები, ისევ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

დღეისათვის უკვე აღარ დაობენ, რომ ფრანკოს აგრესიულმა პოლიტიკამ უკუ-შედეგი გამოიღო. ფრანკოს სიკვდილისა და დემოკრატიული პროცესების დაწყების შემდეგ ქვეყანაში ახალი ძალით იფეთქა სეპარატიზმმა. კატალონიამ, გალისიამ და ბასკების ქვეყანამ ისევ მოიპოვა ავტონომია, მათმა ენებმა კი 1978 წლის კონსტიტუციით კოოფიციალური ენების სტატუსი მიიღეს. დაიწყო კატალანური, გალისიური და ბასკური ენების აქტიური გამოყენება

ყველა სფეროში. კატალანური სეპარატიზმი განსაკუთრებით რადიკალური გახდა XXI საუკუნეში. 2017 წელს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების გამოცხადების შემდეგ კატალუნიამ, ესპანეთის უმნიშვნელოვანესმა და უმდიდრესმა ოლქმა, დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ცენტრალურმა მთავრობამ დაითხოვა კატალუნიის როგორც პარლამენტი, ისე მთავრობა და ლიდერების დაპატიმრების ორდერი გასცა.

კატალანური ენა ესპანეთის ერთ-ერთი ოფიციალური ენა, რომელიც გამოიყენება კატალუნიის, ბალეარის კუნძულებზე, ვალენსიაში, არაგონის გარკვეულ ტერიტორიასა და ანდორაში. ბუნებრივია, კატალანური ენა ყველა ჩამოთვლილ მხარეში ერთნაირი ინტენსიურობით არ გამოიყენება, მაგალითად: კატალუნიის მოსახლეობის დაახლ. 80% საუბრობს კატალანურ ენაზე (აღნიშნული პროცენტული მაჩვენებელი 95%-მდე იზრდება ახალგაზრდებს შორის და კატალუნიის სოფლებში), მაშინ როცა ბალეარის კუნძულებზე განსხვავებული მდგომარეობაა. ტურისტული ინდუსტრიის აყვავებას ბალეარის კუნძულებზე (70-იანი წლებიდან) მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრი ზრდა მოყვა. ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან გადასახლებული მოსახლეობისათვის კი წამყვანი ენა იყო კასტილიური, რამაც კატალანური ენის პოზიციები ბალეარის კუნძულებზე შეასუსტა. ბოლო წლებში კატალუნიის გატარებული აგრესიული ლინგვისტური პოლიტიკის შედეგად საგრძნობლად არის გაზრდილი პრესტიჟი კატალანური ენისა, რომელიც დღეისათვის კატალუნიის წამყვანად ენად მოიაზრება როგორც პოლიტიკაში, ისე საგანმანათლებლო სისტემასა და მომსახურეობის სფეროში. კატალანური ენა ისწავლება კატალუნიის ყველა სკოლაში, უნივერსიტეტების უმრავლესობაში, აბიტურიენტების 70% მისაღებ გამოცდებს კატალანურ ენაზე აბარებს. კატალანურ ენაზე იბეჭდება

არაერთი ჟურნალ-გაზეთი, რამდენიმე რადიო და ტელევიზია მხოლოდ კატალანურ ენაზე მაუწყებლობს, საგრძნობლად არის გაზრდილი კატალანურ ენაზე დაბეჭდილი ლიტერატურის რიცხვი. ნელ-ნელა საერთაშორისო დონეზეც იზრდება კატალანური ენით დაინტერესება. დღეისათვის ევროპის არაერთ უნივერსიტეტში არის შესაძლებელი კატალანური ენის შესწავლა. ბოლო წლებში იუნესკოს მიერ ჩატარებული ერთ-ერთი კვლევა ამტკიცებს, რომ კატალანური ენა ევროპის მინორიტარულ ენებს შორის არის “más fuera de peligro y más viva de Europa” (ქართულად: საფრთხისგან ყველაზე შორს და ყველაზე ცოცხალი ენა ევროპაში).

კატალურენოვანი შექმნილ ენობრივ მდგომარეობას კიდევ უფრო მრავალფეროვანს ხდის ოქსიტანური ენის არანული ვარიანტი, რომელსაც არცთუ ისე დიდი ხნის წინ ოფიციალური სტატუსი მიენიჭა. მიუხედავად იმისა, რომ არანულად მხოლოდ არანში (ღერიდას პროვინცია) საუბრობენ (კატალანურთან და კასტილიურთან ერთად), 2010 წელს კატალუნიის პარლამენტმა არანული გამოაცხადა კოოფიციალურად ენად არა მარტო არანისათვის, არამედ კატალუნიის მთელი ავტონომიური ოლქისათვის. 2001 წლის მონაცემებით, არანის მოსახლეობის 34%-ისათვის მშობლიური ენა არის არანული, მაშინ როცა კატალანურ ენას იგივე ტერიტორიაზე მხოლოდ 19%-იანი მაჩვენებელი აქვს.

გალისიური ენა ესპანეთის კიდევ ერთი კოოფიციალური ენაა, რომელსაც აქტიურად იყენებენ გალისიის საგანმანათლებლო სისტემაში. გალისიური ენის გამოცოცხლებაში დიდი წვლილი შეიტანა 1994 წელს დაარსებულმა კომპანიამ “გალისიური ტელევიზია და რადიო”, რომლის თავდაუზოგავი შრომის შედეგია რამდენიმე გალისიურენოვანი მედიასაშუალებების წარმატებით ამუშავება. ბოლო წლებში ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ გალი-

სიის მოსახლეობის დაახლ. 60% საუბრობს, 90%-ს კი ესმის გალისიური ენა. მართალია, გალისიური ენა ვერ აღწევს ისეთ სიმაღლეებს, როგორსაც კატალანური კატალუნიამ, მაგრამ ენის გამოცოცხლება წინა ათწლეულებთან შედარებით აშკარად თვალშისაცემია.

ესპანეთის რეგიონალურ ენებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბასკურ ენას, რომელიც პირენეის ნახევარკუნძულზე გავრცელებული ერთადერთი პრეროდანული ენაა. არაერთი მკვლევარისათვის საინტერესო ბასკური ენა ითვლება ევროპის ერთ-ერთ უძველეს ენად, რომლის შესახებაც დღემდე უამრავი შეკითხვა არსებობს. რომანული ენებისაგან რადიკალურად განსხვავებულ ბასკურ ენაზე ლაპარაკობენ ბასკების ქვეყანაში, ნავარასა და საფრანგეთის გარკვეულ ტერიტორიაზე. ბასკური ენა გამოიყენება ყველგან ერთნაირი ინტენსიურობით. ამ მხრივ, დიდ ინტერესს იწვევს 2006 წლის ჩატარებული Euskal Herria-ს (აღნიშნავს იმ ტერიტორიების ერთობლიობას, სადაც ბასკური ენაა გავრცელებული) მოსახლეობის კვლევა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ Euskal Herria-ს მოსახლეობა დაახლოებით 2,5 მილიონია, საიდანაც 71% ცხოვრობს ბასკების ქვეყანაში, 20% - ნავარაში, ხოლო 9% - საფრანგეთის ბასკურენოვან ნაწილში. დადგინდა ისიც, რომ ბილინგვალეების საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (84%) ცხოვრობს ბასკების ქვეყანაში, ნავარის ორენოვანი მოსახლეობა წარმოდგენილია 9%-ით, ხოლო ბილინგვალეების 7% ცხოვრობს საფრანგეთის ბასკურენოვან ნაწილში. კვლევის ავტორებმა მიღებული შედეგები შეადარეს 15 წლის წინ ჩატარებულ კვლევას და დაადგინეს, რომ ბოლო წლების განმავლობაში ბასკური ენის გამოყენება საგრძნობლად არის გაზრდილი ბასკების ქვეყანაში, უმნიშვნელოდ გაიზარდა ნავარაში, ხოლო კლებადი ტენდენცია შეიმჩ-

ნევა საფრანგეთის ბასკურენოვან ნაწილში. აღმოჩნდა, რომ პროცენტული მაჩვენებელი ბასკების ქვეყანაში ახალგაზრდობის ხარჯზე გაიზარდა, რადგანაც, დღევანდელი მონაცემებით, ბასკეთის ავტონომიური ოლქის ყველა სკოლაში ისწავლება ბასკური ენა, სტუდენტებს კი შეუძლიათ ისარგებლონ ბასკური ენის არაერთი საინტერესო საუნივერსიტეტო კურსით. ახსნა აქვს კლებადობის ტენდენციასაც: გამომდინარე იქიდან, რომ საფრანგეთის ბასკურენოვან ნაწილში ბილინგვალეების საშუალო ასაკი 70 წელია, გასაგებია ხდება, რატომ იკლებს ამ რეგიონში ბასკური ენის გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ესპანეთში გავრცელებული ორი ისტორიული დიალექტი – არაგონული და ლეონური. ერთ დროს ლათინური ენის დიალექტებმა, განსხვავებით ლათინურის სხვა დიალექტებისაგან, ვერ მიაღწიეს ენის კატეგორიას და დღემდე ისტორიული დიალექტების სახელს ატარებენ. იუნესკოს მიერ ბოლო წლებში ჩატარებული კვლევების მიხედვით არაგონული და ლეონური გაქრობის საფრთხის წინაშე დგანან.

დასკვნა

როგორც ვხედავთ, ესპანეთის რეგიონალურმა ენებმა არც ოფიციალური სტატუსის მინიჭების შემდეგ შეწყვიტეს ბრძოლა. რეგიონალური მთავრობების მიერ გატარებული რეფორმების შედეგად კატალანური, გალისიური და ბასკური ენების ჩართულობა კონკრეტული ავტონომიური ოლქების საგანმანათლებლო სისტემასა და მომსახურების სფეროში ძირითადად იზრდება, რასაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს რეგიონალური მედია საშუალებების ადგილობრივ ენებზე აქტიური ამუშავება.

ლიტერატურა

1. Garcia Mouton P. (2007): *Lenguas y dialectos de España*, Madrid
2. Medina López J. (2002): *Lenguas en contacto*, Madrid
3. Gonzalez O. (1978): *El establecimiento del castellano como lengua oficial*, Barcelona de la Real Academia LXXV
4. Siguan M. (1992): *Multilingual Spain*, European studies on Multilingualism
5. LleraRamo F.J. (1986): *Identidad colectiva y territorialidad*, Lletres asturianas
6. Burgueño J. (2002): *El mapa Escondido: las lenguas de España*, Boletín de la A.G.E.

Lingual State and Politics of the Official Languages of Spain

Marine Kobeshavidze

Tbilisi State University

Humanitarian science faculty

36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia

Tel.: 591 222 007

E-mail: mkobeshavidze@yahoo.es

Nino Chrikishvili

Tbilisi State University

Humanitarian science faculty

36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia

Tel.: 598 165 756

E-mail: nchrikishvili@yahoo.com

Abstract

Spain is the country distinguished with linguistic diversity. In the Pyrenean peninsula languages created on the basis of Latin passed different ways of evolution and overcame several difficult periods. Regional languages oppressed by dominant Spanish had to exist in especially complicated conditions as they were in permanent struggle for survival. 1978 - when the new constitution of Spain nominated them

as co-official languages of the country - appeared to be the most important date for Catalan, Galician and Basque languages. The current paper deals with the very languages and their contemporary condition using the data of researches carried out in different years. This enables us to observe the regional languages in dynamics.

Keywords:

Catalan language, Galician language, Basque language.

Языковое положение и политика официальных языков Испании

*Кобешавидзе Маринэ Валериевна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 591 222 007
E-mail: mkobeshavidze@yahoo.es*

*Чрикшвили Нино Гелаевна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 598 165 756
E-mail: nchrikishvili@yahoo.com*

Резюме

Испания – одна из выдающихся стран по лингвистическому разнообразию. Языки, созданные на Пиренеях, в основе которых лежит латинский язык, прошли различные стадии эволюции и преодолели множество трудных периодов. Особенно сложно приходилось языкам, которые претенжали на доминантным испанским языком, в следствии чего шла постоянная борьба за их сохранение. Для каталонского, галисийского

и баскского языков большую роль сыграл 1978 год, когда на основании испанской конституции им был присвоен статус коофициальных языков страны.

Статья касается современному положению вышеуказанных языков, где использованы данные, основанные на проведенные исследования различных лет, что дает возможность рассмотрения в динамике региональных языков Испании.

Ключевые слова:

каталонский язык, галисийский язык, баскский язык.

პოლიტიკური დისკურსის სემიოტიკური სივრცე

რუსუდან თაბუკაშვილი
საქართველოს უნივერსიტეტი
ევროპული ენებისა და ფილოლოგიის
დეპარტამენტი
კოსტავას ქ. № 77ა, 0175, თბილისი,
საქართველო
ტელ: 593 512 484
E-mail: r.tabukashvili@gmail.com

რეზიუმე

სტატიის კვლევის საგანი – პოლიტიკური დისკურსი – როგორც ჰუმანიტარული დისციპლინების კვლევის ობიექტი, განიხილება აზროვნების სისტემის, კომენტარისა და კომუნიკაციის პროდუქციების აქტად. აღნიშნული ტიპის დისკურსში იგულისხმება სემიოტიკური სივრცე, რომელიც მოიცავს როგორც ვერბალურ, ასევე არავერბალურ ნიშნებს, რაც თავისთავად ტექსტის თეზაურუსია და ფუნქციურად აღნიშნული სფეროს საკომუნიკაციო პროცესს ემსახურება. პოლიტიკური დისკურსის სემიოტიკური სივრცე არაერთგვაროვანი ერთიანი მექანიზმია, განსხვავებული სემიოტიკური სისტემებითა და კოდებით „აღჭურვილი“ სემიოსფეროა.

საკვანძო სიტყვები:

პოლიტიკური დისკურსი, სემიოტიკური სივრცე, ვერბალური და არავერბალური ნიშნები, სემიოტიკური კოდები, სიმბოლოები.

შესავალი

პოლიტიკური დისკურსი, როგორც არაერთგვაროვანი ენობრივი ფენომენი, მთელი რიგი ჰუმანიტარული დისციპლინების კვლევის საგანია, და შესაბამისად, ინტერდისციპლინარული მოვლენაა. სხვადასხვა

მეცნიერებები სხვადასხვა კუთხით იკვლევენ მას, შესაბამისად, მისი განხილვა შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ანთროპოლოგიური მეცნიერებების მიმართულებით და განსხვავებული მეთოდებით. ლინგვისტიკა, პოლიტიკა, ისტორია, სტატიკა, სოციოლოგია, კომუნიკაციის თეორია, სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლოგია, არგუმენტაციის თეორიები, ანთროპოლოგია – ეს ის ჰუმანიტარული მეცნიერებებია, რომლებიც სხვადასხვა რაკურსით, არა რომელიმე ერთი კონკრეტული დისციპლინის ფარგლებში, არამედ ერთდროულად სხვადასხვა მეცნიერულ მიმართულებებზე დაყრდნობით, იკვლევენ პოლიტიკურ დისკურსს. პოლიტიკური დისკურსის კვლევისადმი ინტერდისციპლინარული მიდგომის ობლიგატორულობას და უპირატესობას ადასტურებს პატრიკ შაროლო თავის უმნიშვნელოვანეს ნაშრომში “პოლიტიკური დისკურსი, ძალაუფლების ნიღაბი” [შაროლო 2005].

ძირითადი ნაწილი

სპეციალურ ლიტერატურაში პოლიტიკური დისკურსის უამრავი დეფინიცია არსებობს. თავის სტატიაში “პოლიტიკური დისკურსი, პროპაგანდა, კომუნიკაცია და მანიპულაცია” კაროლინ ოლივიე-იანივი გვთავაზობს პოლიტიკური კომუნიკაციის დეფინიციას, რომელიც ეკუთვნის დომინიკ ვოლტონს (1989): “პოლიტიკური კომუნიკაცია ესაა სივრცე, სადაც სამსუბიექტს შორის, რომელთაც აქვთ უფლება გამოსატონ საჯაროდ თავიანთი აზრი პოლიტიკაზე – პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და საზოგადოებრივი აზრი – მიმდინარეობს დისკურსების გაცვლა-გამოცვლა” [ოლივიე-იანივი 2010:33].

შაროლოს განმარტებით, პოლიტიკური დისკურსი მცდელობაა განისაზღვროს ლან-

გაუის ორგანიზაციის ფორმა გამოყენების განსაზღვრული სფეროს ფარგლებში, ერთი მხრივ, მისი პროდუცირების, ხოლო მეორე მხრივ, მისი ფსიქოლოგიური და სოციალური შედეგების გათვალისწინებით. [შაროლო 2005:24].

ავტორი პოლიტიკური დისკურსის პროდუცირების თვალსაზრისით ერთმანეთისაგან მიჯნავს სამ ასპექტს და ასეთებად მიიხნევს: აზროვნების სისტემას, კომენტარს და საკომუნიკაციო აქტს. მათი რეალიზაციის ადგილის გათვალისწინებით იგი განმარტავს პოლიტიკურ დისკურსს სამგვარად:

პირველი დეფინიციის მიხედვით, პოლიტიკური დისკურსი, როგორც აზროვნების სისტემა, დისკურსული ქმედების შედეგია. დისკურსული ქმედება ეყრდნობა იმ პრინციპებს, რომელზედაც უნდა სტრუქტურირდეს მოსაზრებები და პოზიციები. ამ მოსაზრების თანახმად, პოლიტიკურმა დისკურსმა უნდა შექმნას პოლიტიკური იდეალურობა [შაროლო 2005:30].

პოლიტიკური დისკურსი, როგორც კომენტარი, გულისხმობს იმას, რომ მისი ორიენტირების დასმა პოლიტიკური მიზნებისაკენ არაა ობლიგატორული. ასეთ შემთხვევებში პოლიტიკური დისკურსი შესაძლოა იყოს ხანმოკლე, რომლის დროსაც კომუნიკატორმა შესაძლოა ვერ შეძლოს აზრის სრულყოფილად ჩამოყალიბება, საკუთარი მოსაზრების ან პოზიციის გამოხატვა. პოლიტიკური კომენტარი არ გულისხმობს მოქმედებას, რაიმე ქმედების განხორციელებისკენ მოწოდებას. [შაროლო 2005:30].

პოლიტიკური დისკურსი, როგორც საკომუნიკაციო აქტი, გულისხმობს პოლიტიკური კომუნიკაციის კომუნიკანტებს. მისი მიზანია, ერთი მხრივ, გავლენა მოახდინოს კომუნიკანტთა შეხედულებებზე, ხოლო მეორე მხრივ, - მიიმხრონ, გადმოიბირონ პოლიტიკური ოპონენტები ან მიაღწიონ მათთან კონსენსუსს. [შაროლო 2005:30].

დისკურსი თავის პოტენციურ განზომი-

ლებაში წარმოადგენს სემიოტიკურ სივრცეს, რომელიც მოიცავს როგორც ვერბალურ, ასევე არავერბალურ ნიშნებს, რომლებიც ორიენტირებულია მოცემული საკომუნიკაციო სფეროს მომსახურებაზე და ამავდროულად არის გამონათქვამთა და ტექსტთა თეზაურუსი. დისკურსის პოტენციურ განზომილებაში ასევე მოიაზრება სამეტყველო ქმედების ტიპური მოდელები და სამეტყველო ქმედებებისა და ჟანრების ნაკრები, რომელიც კომუნიკაციის ამ ტიპისთვისაა დამახასიათებელი.

სემიოტიკურ სივრცეზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ლოტმანი თავისი მუხეუმის მეტაფორით. იგი გვთავაზობს, წარმოვიდგინოთ სინქრონულ ჭრილში ერთიან სამყაროდ მუხეუმის დარბაზი, სადაც ვიტრინებში გამოფენილია სხვადასხვა ეპოქების ექსპონატები, რომლებსაც აქვთ წარწერები განსხვავებულ ენებზე. ამავე კონტექსტში მოიაზრება მეთოდისტების მიერ შედგენილი ინსტრუქციები, განმარტებითი ტექსტები, მარშრუტისა და ექსკურსიების სქემები და დამთვალეირებელთა ქცევის წესები. ავტორი გვთავაზობს, ამავე დარბაზს მივაკუთვნოთ ექსკურსიამძღოლები, მუხეუმის სტუმრები და ყოველივე ეს წარმოვიდგინოთ ერთიან მექანიზმად. ჩვენ შეგვექმნება სემიოსფეროს ხატება, მისი სახე [ლოტმანი 1996:168].

ლოტმანი აღნიშნავს, რომ სემიოსფერო არაერთგვაროვანია: სემიოტიკური სივრცის შევსება ხორციელდება სხვადასხვა ტიპისა და ბუნების ენებით. ენებში იგი გულისხმობს სხვადასხვა სემიოტიკურ სისტემებს/კოდებს – ჩაცმის მოდიდან დაწყებული ცეკვისა და არქიტექტურის ენებით დამთავრებული [ლოტმანი 1996: 166].

პოლიტიკური დისკურსისათვის ძალიან მნიშვნელოვანია სიმბოლოებით ენობრივი მანიპულირება, არავერბალური კომუნიკაციით აზრის გადაცემა, რომელშიც სხვადასხვა ნაციონალური სიმბოლოებით ხდება არავერბალური ენობრივი კონტაქტი და

რომელთა საშუალებებითაც კომუნიკაციის მონაწილეები ერთმანეთს აცნობენ საკუთარ დამოკიდებულებას კონკრეტულ საკითხებზე.

პოლიტიკური დისკურსის სემიოტიკური სივრცე ასევე არაერთგვაროვანია მასში გაერთიანებული “ენების” თვალსაზრისით – ვერბალურ ნიშნებთან და პარალინგვისტიკასთან ერთად, არსებითი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ სიმბოლიკასა და ემბლემატიკას, სემიოტიკურ სივრცეს (სივრცის ნიშნობრივი გამოყენება). პოლიტიკურ დისკურსში ნიშნობრივ სტატუსს იღებს თავად პოლიტიკა და განსაზღვრული ქცევითი მომენტები. ამასთან დაკავშირებით ჰადსონი წერს: „პოლიტიკის ენა არ დაიყვანება მხოლოდ სიტყვებამდე. ის, რასაც პოლიტიკოსები უწოდებენ ნიშნად ან არანიშნად, ასე თუ ისე აისახება ერის ცხოვრების სტილში. პოლიტიკა – ესაა ჩაცმა, სამოსი, საკვები, სახლი, გართობა, ლიტერატურა, კინო და შვებულება – იმავე დოზით, როგორც მეტყველება და სტატიები“ [ჰადსონი 1978:18].

ჰადსონი წერს, რომ დაუნინგსტრიტზე, პაროლდ უილსონის, ლეიბორისტი პრემიერის რეზიდენციაში გამართულ სადილზე მაგიდაზე იდო პატარა სანელებლებიანი ბოთლი (ჭურჭელი საკაზმებით), რომელიც იყო ლეიბორისტების (უილსონი იყო ლეიბორისტული პარტიის წევრი) ე.წ. “ენის ნაწილი”. უილსონის ხელისუფლებაში ყოფნისას იგი ამ შესტით თითქოსდა საჯაროდ იმას აცხადებდა, რომ ის უპირატესობას ანიჭებს უბრალო ადამიანების გემოვნებას და გაურბის ელიტიზმს. ვერბალურად ამ აზრს, ალბათ, ვერც ერთი სიტყვა ვერ გამოხატავდა ამაზე უკეთ. [ჰადსონი 1978: 19].

ანალოგიური მაგალითები მრავლადაა ქართულ პოლიტიკურ საკომუნიკაციო სივრცეში, სადაც სიმბოლოებსა და ემბლემებს ხშირად უფრო დიდი რეზონანსი აქვს, ვიდრე ქმედებებს. ისინი ეფექტურს ხდის საკომუნიკაციო აქტებს. მაგალითად, ჰელსინ-

კის კონფერენციაზე, რომელიც ეძღვნებოდა გერმანიის განიარაღებას, შევარდნაძემ ხანჯალი აჩუქა შულცს, რაც განსაზღვრულ კონტექსტში, სწორედ კონკრეტულ სემიოტიკურ სივრცეში, ნიშნავდა, - მე განვიარაღდი, ახლა თქვენი ჯერიაო.

პოლიტიკური დისკურსის “პოლიგონი”, მისი ვერბალურ-არავერბალური განხორციელების ველი მისი სემიოტიკური სივრცეა.

პოლიტიკური დისკურსის სემიოტიკა თავისებური ნიშანთა სისტემაა, რომელშიც ხდება სემანტიკის, სხვადასხვა ენობრივი ერთეულების ფუნქციებისა და სტანდარტული სამეტყველო ქმედებების მოდიფიკაცია. [შეიგალი 2000].

შეიგალი თვლის, რომ პოლიტიკურ დისკურსს აქვს ორი განზომილება – რეალური და ვირტუალური. რეალური განზომილება გულისხმობს განსაზღვრულ სოციალურ სივრცეში მიმდინარე სამეტყველო ქმედებას, ტექსტებს, რომლებშიც ინტეგრირებულია ლინგვისტიკური, პარალინგვისტიკური და ექსტრალინგვისტიკური ფაქტორები, ხოლო ვირტუალური განზომილება ესაა სემიოტიკური სივრცე, რომელშიც ინტეგრირებულია ვერბალური და არავერბალური ნიშნები, რომელთა ერთიანი დენოტატი პოლიტიკის სამყაროა, გამონათქვამების თეზაურუსია, სამეტყველო ქმედებებისა და ჟანრების სამეტყველო ქმედებებია, რომლებიც სპეციფიკურია ამ სფეროში კომუნიკაციისათვის.

პოლიტიკური დისკურსის სემიოტიკური სივრცე მოიცავს ნიშანთა სამ ტიპს: სპეციალიზირებულ ვერბალურ (პოლიტიკური ტერმინები, ანტროპონიმები და სხვა), სპეციალიზირებულ არავერბალურ (პოლიტიკური სიმბოლოები) და არასპეციალიზირებულ ნიშნებს (მაგალითად, პირის ნაცვალსახელები ჩვენ, ჩვენი), რომლებიც თავდაპირველად არ იყო ორიენტირებული კომუნიკაციის ამ ტიპზე, მაგრამ რომლებმაც ხშირი ფუნციონირების შედეგად მი-

იღეს შინაარსობრივი სპეციფიკა. შეიგალი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს პოლიტიკურ კომუნიკაციას, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ სოციალური ცხოვრების მოვლენების ოფიციალურ კონტროლს, არამედ საუბრებს პოლიტიკაზე სხვადასხვა – საყოფაცხოვრებო, მხატვრული, პუბლიცისტური და სხვა რაკურსით. ითვლება, რომ პოლიტიკური დისკურსის ფენომენის განხილვისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ მასში გადაიკვეთება დისკურსის სხვადასხვა ტიპები – იურიდიული, სამეცნიერო, მასობრივ-საინფორმაციო, პედაგოგიური, სარეკლამო, რელიგიური, სპორტული, საყოფაცხოვრებო და მხატვრული [შეიგალი 2004].

დასკვნა

ამდენად, პოლიტიკის ენა ვერბალურ, არავერბალურ და არასპეციალიზირებულ ნიშანთა ერთობლიობაა და ქმნის პოლიტიკური დისკურსის სემიოტიკურ სივრცეს. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აღნიშნული ნიშნები თავიდანვე არ იყო ორიენტირებული კონკრეტულად პოლიტიკურ კომუნიკაციაზე, თუმცა ამ სფეროში მათი გამოყენების სისშირის გამო მათ მიღეს შინაარსობრივად სპეციფიკური დატვირთვა.

ლიტერატურა

1. Charaudeau P. (2005): Le discours politique. Les masques du pouvoir. Paris: Vuibert
2. Ollivier-Yaniv C. (2000): L'État communiquant. Paris : PUF, 2000
3. Шейгал Е. И. (2004): Семиотика политического дискурса. М.: Гнозис, 2004

4. Шейгал Е. И. (2000): Семиотика политического дискурса. – Моногр. М. – Волгоград, Перемена

5. Лотман Ю. М. (1996): Внутри мыслящих миров. Человек – текст – семиосфера – история. Москва

6. Hudson K. (1978): Hudson K. The Language of Modern Politics. - London

Семиотическое пространство политического дискурса

Табукашвили Русудан Михайловна

Университет Грузии

Департамент европейских языков и филологии

Ул. Костава №77а, 0175, Тбилиси, Грузия

Тел.: 593 512 484

E-mail: r.tabukashvili@gmail.com

Резюме

Политический дискурс как объект гуманитарных дисциплин, рассматривается актом системы мышления, продуцирования комментариев и коммуникации. В этом типе дискурса подразумевается семиотическое пространство, которое имеет как вербальные, так и невербальные знаки, что является само собой тезаурусом текста и служит коммуникативному процессу функциональной сферой. Семиотическое пространство политического дискурса – это неоднородный механизм, семиосфера „снабженная“ кодами и различными семиотическими системами.

Ключевые слова:

политический дискурс, семиотическое пространство, вербальные и невербальные знаки, семиотические коды, символы.

Semiotic Space of the Political Discourse

Rusudan Tabukashvili

University of Georgia

Department of European Languages and Philology

77a Kostava str. 0175, Tbilisi, Georgia

Tel.: 593 512 484

E-mail:r.tabukashvili@gmail.com

Abstract

Political discourse – the object of the paper research - as the research object of humanities is being discussed and is considered to be an act of pro-

duction of the thought system, comments and communication. The discourse of the mentioned type means semiotic space which comprises both verbal and non-verbal signs serving as the communication process of text thesaurus and functionally marked sphere. The semiotic space of political discourse is a heterogeneous complete mechanism with different semiotic systems and semiotic sphere “equipped” with codes.

Keywords:

political discourse, semiotic space, verbal and non-verbal signs, semiotic codes, symbols.

Apprendre par L'action

Ketevan Dzouliachvili

Ecole N 23 Ilia Tchavtchavadzé Tbilissi

59, rue Uznadze, Tbilissi, Géorgie

Tel.: 577 338 050

E-mail: keti.dzuliashvili@gmail.com

Resumee

L'objectif de l'enseignement des langues étrangères est de développer des quatre compétences communicatifs:

1. Compréhension orale
2. Compréhension écrite
3. Production orale
4. Production écrite

À mon avis, la méthode que je vous propose facilite le développement des quatre compétences. Je vous présente un exemple. J'utilise un film d'animation comme un matériel authentique. Premièrement, je choisis le film en tenant compte l'âge et les intérêts des élèves ainsi que de leurs connaissances linguistiques.

Après avoir regardé le film, les élèves vont créer des dessins chronologiques qui seront collés sur les pages des feuilles. Chaque dessin sera d'accompagné de plusieurs propositions d'après le contenu du film.

Après avoir créé le livre, ils écriront le titre sur la couverture du livre créé par eux-mêmes. Les élèves (participants) écriront leurs noms et prénoms sur la première page du livre.

Cette méthode encourage et rend le processus plus intéressant. En résultat, nous auront les élèves plus motivés et impliqués, car ils vont trouver leurs types d'intelligences dans les activités proposés.

Mots clés:

langues, étrangères, film/dessin anime, l'activité.

Introduction

Si quelqu'un vous pose la question : pourquoi apprendre une langue étrangère. La réponse est très simple - EDUCATION - C'est indéniable : parler une, voir plusieurs, langue(s) étrangère(s) est un véritable atout qui permet de voyager sans encombre dans un pays étranger, de communiquer avec des gens qu'on ne comprendrait pas autrement, de se plonger en profondeur dans une culture qui n'est pas la nôtre et, plus prosaïquement, de savoir ce que l'on commande au restaurant! - Les raisons sont bien et clairement définies, mais comment organiser le processus de l'enseignement pour atteindre les objectifs visés ?

Partie principale

L'enseignement-apprentissage des langues étrangères à l'école repose sur des méthodologies, du matériel pédagogique et des pratiques de classes laissés à la discrétion des enseignants. Les activités variées motivent les élèves, rendent le processus de l'enseignement-apprentissage plus intéressant et facilite atteindre les objectifs. Au début de l'année scolaire 2017-2018 dans le cadre de l'approche actionnelle, j'ai lancé une série d'activités en cours de la langue française basées sur une théorie „apprendre par l'action“.

Les activités proposées par moi visent le développement des capacités de compréhension et production orale et écrite.

Sujet: « Apprendre par l'action » - Fabrication des livres.

Objectifs :

Linguistique: Développer les quatre capacités linguistique (compréhension orale/écrite, production orale/écrite).

Social: développer les capacités de travailler en coopération (travail en équipe), individuellement (devoir à la maison : création des illustrations pour les livres et description des illustrations).

Supports: un ordinateur et un projecteur ; Le DVD du film/dessin animé choisi, le réseau d'internet (si le DVD du film/dessin animé choisi n'est pas disponible) ; Les crayons en couleur ; Les feuilles de papier ; La colle ; Les feutres...

Evaluation : formative, par des commentaires du professeur.

Public cible : Elèves dès 9 à 11 ans

Niveau de la langue : A1

Déroulement

I étape

□ Sélection du film/dessin animé : Avant de choisir un film ou un dessin animé il faut prendre en considération l'âge, l'intérêt et les connaissances linguistiques des élèves (du groupe cible). Le film/dessin animé peut être déjà connu par des élèves, dans ce cas le contenu est déjà connu et en regardant le film/dessine animé les élèves sont concentrés d'entendre /comprendre les mots ou les expressions connus. Si le film/dessine animé n'est pas connu par des élèves, dans ce cas le professeur arrête la projection après un épisode et fait résumer du contenu. L'activité précédente développe la capacité de la compréhension orale.

II étapes

□ Après avoir regardé le film/dessin animé, le professeur incite les élèves à parler, à résumer le contenu du film/dessin animé. Pour motiver des élèves le professeur pose des questions : Où se passe l'action ? Qui sont les principaux personnages du film ? Que font ces personnages ? Nous soulignons les moments importants du film. Cette activité travaille la production orale.

III étapes

□ Ensuite, le professeur donne des instructions claires et bien définies aux élèves : dessiner chronologiquement les moments d'après le

déroulement du film et les décrire avec une ou deux phrases (sur les feuilles au format A4) (ils effectuent cette tâche à la maison, individuellement). L'activité vise développer la capacité de la production écrite et de travailler individuellement.

IV étapes

□ Lier le texte avec les dessins : Avant de commencer le travail, les élèves se divisent par groupe. En suite le professeur distribue un texte court du film aux élèves et demande de lire le texte, de trouver et souligner les phrases liées aux dessins. Les élèves travaillent en groupe. Cette activité développe la capacité de la compréhension écrite et le travail en coopération (en groupe).

V étapes

□ Fabrication du livre. Les élèves vont créer des dessins, chaque dessin sera accompagné de plusieurs propositions d'après le contenu du film (les élèves travaillent avec des stylos en couleurs et brillants). Chaque groupe présente son livre fabriqué. Cette activité travaille comme la compréhension et production écrite ainsi la production orale.

□ Après avoir créé le livre, les groupes présenteront leurs travaux ils écriront le titre sur la couverture du livre créé par eux-mêmes .les élèves (participants) écriront leurs noms et prénoms sur la première page du livre.

Le psychologue américain John Dewey estimait qu'il est préférable pour un apprentissage réussi d' "apprendre par l'action". Pour la réalisation pratique de ses idées, il établissait même les écoles expérimentales. À mon avis, la méthode proposée par moi est vraiment une méthode qui permet „apprendre par l'action”, Les élèves choisissent eux-mêmes les épisodes du film, créent le texte et les illustrations,

Cette méthode encourage et rend le processus plus intéressant. En résultat, nous aurons les élèves plus motivés et impliqués, car ils vont trouver leurs types d'intelligences dans les activités proposés.

უცხოური ენის შესწავლა ტექსტის ილუსტრირებით

ქეთევან ძულიაშვილი
თბილისის ი. ჭავჭავაძის №23 საჯარო
სკოლა
უზნაძის ქ. №59, თბილისი, საქართველო
ტელ.: 577 338 050
E-mail: keti.dzuliashvili@gmail.com

რეზიუმე

უცხო ენის სწავლების მიზანია, მოსწავლეს გამოუმუშავდეს კომუნიკაციური უნარ-ჩვევები ოთხი მიმართულებით: 1. მოსმენა; 2. ლაპარაკი; 3. კითხვა; 4. წერა.

ჩემი აზრით, ჩემს მიერ შემოთავაზებული მეთოდი ოთხივე უნარის განვითარებას უწყობს ხელს. მაგალითისათვის ვიყენებ ანიმაციურ ფილმს, როგორც ავთენტურ მასალას. პირველ რიგში ვარჩევ ფილმს, მოსწავლეთა ასაკისა და ინტერესების, ასევე მათი ენობრივი ცოდნის გათვალისწინებით. ფილმის ნახვის შემდეგ, მოსწავლეები შექმნიან ქრონოლოგიურ ნახატებს, რომელთაც აკრავენ ფურცლებზე. შემდეგ ააწყობენ წიგნს, თითოეულ ნახატს დაურთავენ რამდენიმე წინადადებას, ფილმის შინაარსის მიხედვით. წიგნის აწყობის შემდეგ მუშაობენ წიგნის ყდის ვიზუალზე, დააწერენ სათაურს. წიგნის შექმნაში მონაწილე მოსწავლეები პირველ გვერდზე აწერენ თავიანთ სახელებსა და გვარებს.

აღნიშნული მეთოდი ახალისებს და უფრო საინტერესოს ხდის სწავლის პროცესს. იწვევს სხვადასხვა ინტელექტის მქონე მოსწავლეების ჩართულობას და რაც ყველაზე მთავარია, ამადლებს მოტივაციას ბავშვებში.

საკვანძო სიტყვები:

მეთოდი, უცხოური ენები, ანიმაციური ფილმი, აქტივობა.

Изучение иностранного языка с помощью иллюстрации текста

Дзулиашвили Кетеван Нодаровна
Тбилисская 23 средняя школа им. И. Чавчавадзе
Ул. Узнадзе № 59, Тбилиси, Грузия
Тел.: 577 338 050
E-mail: keti.dzuliashvili@gmail.com

Резюме

Целью обучения иностранному языку является прививание ученикам коммуникативных навыков в четырех направлениях: 1. Прослушивание; 2. говорение; 3. чтение; 4. писание.

По моему мнению, предложенный мною метод помогает развить навыки по всем этим направлениям. Например: использование анимационных фильмов как аутентичный материал. Сначала выбираю фильм с учетом возраста и интереса учеников, а также по их языковым уровням. После просмотра фильма, ученики создают хронологические рисунки, которые клеются к бумаге, а потом собирается книга, к каждому рисунку пишется несколько предложений по содержанию фильма. После того как книга будет готова, ученики, принимавшие участие в ее создании, работают над ее обложкой и пишут название книги, на первой же странице будут указаны фамилии и имена принимавших участие в создании книги.

Вышеописанный метод поощряет и делает более интересным учебный процесс. Он вызывает активность учеников разного интеллекта и что самое главное, повышает их мотивацию.

Ключевые слова:

метод, иностранные языки, анимационный фильм, активность.

English and Persian Zoonyms. A Comparative Etymological Analysis

Farzin Ghobadighadikolaei
Tbilisi State University
Humanitarian science faculty
36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia
E-mail: fareinglobadi@outlook.com

Abstract

Zoonyms like animals themselves have played an important role in human linguistic productions. They have been used as metaphors among other uses that derive from cognitive mental models. These mental models in turn are results of the way speakers of different languages perceive and categorize the surrounding world through cultural knowledge. An essential part of this categorization and knowledge is formed by the recognition of the different phenomena in terms of some prototypes or salient properties. This analysis thus attempts to discover significant features and properties of animals embedded in 55 English and Persian zoonyms and makes a cross-linguistic comparison. The results show that despite several obscure roots and histories, both English and Persian zoonyms reveal similar tendencies in selecting categories of constituent properties, though they are different in assigning these features and properties to different animals. For instance, while both languages make use of behavior, physical characteristics and onomatopoeic elements in the structure of the zoonyms, they employ different amount and combination of constituent properties such as color, size, body parts, behavior, and living place. Also, part of the zoonyms prove to be borrowings from other languages in both English and Persian.

Key words:

zoonyms, Persian, English, comparative-etymological; analysis.

Introduction

The role of animals in a human being's life has

always been extremely high, especially in the early days of the mankind, when people and animals coexisted in a natural habitat. This coexistence brought about certain perceptions and associations in the minds of ancient human beings that could be manifested in the names they gave to these domestic or wild members of their surroundings. Later in time, human beings included this set of perceptions and associations in the figurative aspects of their language use namely, animal metaphors that form a fruitful ground in literary productions. Kövecses (2009) argues that part of human behavior is metaphorically understandable in terms of animal behavior which is a good reason for the creation of the metaphoric model "people are animals". On the other hand, the basis of our knowledge derives from structured formats or cognitive models that enable people to organize their knowledge and experiences. These models ultimately derive from two sources: personal experience and culture [Lakoff and Turner 1989]. This is along with the fact that social and cultural knowledge vary in different speech communities and are a product of conceptual metaphor [Kövecses 2009]. Apparently there is a mutual and complementary connection between conceptual metaphors and our social and cultural knowledge. Specifically, cultural knowledge which is comprised of universal cognitive structures [Keesing 1979], is regarded to be local and relative. In practice, all speech communities develop systems of shared cultural knowledge that generate perspectives on fundamental conceptualizations that receive detailed specification in a particular language. These perspectives are organized systematically in a series of conceptual relations that are termed as cultural models. On this account, the significance of the names of animals or zoonyms becomes more evident and lies not in their significations but in showing the way speakers of different languages perceived and defined the animals as part of their conceptualization of the world and as a marker of the cultural models inherent in their minds

[Mischler 2013]. Martsa (2007) believes the salient properties of animals are mapped onto humans, and, consequently, “it is these properties that are lexicalized in the form of various linguistic constructions. She argues that the only plausible justification for the variation in the use of metaphoric expressions is the fact that the users of each language map the particular conceptual domain of their own world differently. Although these salient properties that may form the origin of metaphorical concepts are not always the physical characteristics and behaviour of the animals [Al-Hasnawi, 2007].

This research attempts to examine the semantic history of 55 English and Persian zoonyms to explore the significant features and constituents in the formation of the selected zoonyms and compare and contrast them in English and Persian.

Mainbody

1. Data and methodology

As mentioned earlier, 55 zoonyms were selected for the present etymological analysis mostly from Gamkrelidze and Ivanov (1984) and other listings to cover more prototypical species of animals including bovines, reptiles, birds, fish, insects, vulpines and felidae. The English etymology was derived from the Oxford English Dictionary based on historical principles that provides roots and histories of the words. For the Persian etymologies, five-volumed Etymological Dictionary of the Persian Language was used. The analysis starts with the survey of zoonymic etymologies including their morphological and semantic roots and origins. The analysis was carried out based on the etymological examination of the constituent part or parts of the zoonyms in both languages in question.

1. Wolf

There is a disputed connection between wolf and the verb pluck in Latin

Wolf < PIE. *ulq^{wo} > Lat. Vellere

The same root and meaning is relevant to Persian thus the meaning of “wolf” in both languages

could be that of the “plucker, tearer and dragger.

2. Lion

No clear etymology is provided semantically but phonetically it seems that the word has been adopted from Latin “Leo”.

Persian “šēr” however, is etymologically connected to OIran. *syarga (spring, jump) thus the word originally means “jumper, springer”.

3. Fox

English fox is related to OTeut. Fuhs and Pre-Teut. *puk, also related to Skr. Puccha that means “tail”.

Persian “rōbāh” < OPers. Raupāθa < OIran. Raupāsa < PIE. *ulp/ *lup

Thus seemingly the word in English is connected to the word “tail” for which fox is famous but in Persian it is related to the word wolf etymologically as both animals are from the same family.

4. Ass

OE. assa is related to Lat. Asinus with no semantic etymology provided.

Persian “xar” < OPers. “xara” is related to Skr. Kḥára that means “rough, harsh” due to the harsh voice of the animal. It is supposed also to be related to OIce. “Hárr” or Russ. “séryj” that mean “gray” referring to the color of the animal. Thus the basis is different in the two languages for the naming of this animal.

5. Lizard

English “lizard” is from OF. “lesard” that is in turn from Lat. “lacertus”. There is no semantic etymology for the word.

Persian “sūsmār” is connected to Skr. “śimśumāra” meaning “crocodile”, there is another assumption that relates “sūsmār” to PIE. *k^{us} (to pant, to produce hissing sound)

6. Chicken

OE. cicen, a doubtful origin is presented as related to OTeut. *kiukīnom or *kiuk.

Persian “jūja” presents no clear etymology neither semantically nor phonetically. But apparently it is an onomatopoeic expression.

7. Turkey

Turkey-cock is an African bird known to the ancients as the *μελεαγρίς* of Aristotle, *meleagris* of Varro and Pliny. Later after the discovery of the Americas, an American bird found there was at first identified with or treated as a species of *Meleagris*. The African bird is believed to have been so called as originally imported through the Turkish territories; it was called Guinea-fowl when brought by the Portuguese from Guinea in West Africa. After the two birds were distinguished and the names differentiated, turkey was erroneously retained for the American bird, instead of the African. In Persian “*būqalamūn*” originally colorful from Arabic referring to the different colors of the bird’s feathers.

8. Duck

OE. *duce* < **dúcan* (to dive) thus generally the word means “diver” though the phonological history of the word presents some difficulties.

Persian “*urdak*” presents no information for the semantic history of the word.

9. Armadillo

Originally Sp. *Armadillo* is a diminutive form of “*armado*” that means “one-armed”. The animal is specially distinguished by the bony armour in which their whole body is encased.

Persian “*gūrkan*” meaning “gravedigger” is an indigenous animal of South America. The Persian name refers to the type of nest the animal builds for itself. Also the foreign name of the animal is used.

10. Mouse

OE. *mūs* < PIE. **mūs* presents no semantic history.

Persian *mūš* < OIran. **mūš* both languages could be related to the root PIE. **meu-s* that means “steal, rob”.

11. Cheetah

From Hind. *čītāh* < Skr. *čitraka* “speckled, variegated”.

Persian “*yūzpalang*” is a compound word of “*yūz*” and “*palang*”. The former is from the root “*yauz*” that means “to flicker, to fling, to seek” however “*palang*” has an uncertain etymology that probably relates to “speckled, variegated”.

12. Owl

OE. *úle* < OTeut. **uwwalâ* is an echoic expression < **uwwa* from the voice of the bird. MET

Persian *juyd* < *OIran. *yuxta* < *yaug* “to bind, to tie”. The bird was a sacred one in ancient Iran and its name was the second part of a compound as *ašā-yuxta* that means “tied to righteousness”. Later the second part was used only to refer to the bird.

13. Rhinoceros

The word is related to Latin “*rhīnocerōs*” that is a compound of *rhino* meaning “nose” and *ceros* meaning “horn”.

For the Persian “*kargadan*” the origin is unknown. The word is probably from a non-Aryan origin. It could be related to Sanskrit “*k^haḍga-d^henu*” meaning a female rhinoceros where “*k^haḍga*” means sword.

14. Jackal

The English word is ultimately from a Persian origin.

The Persian “*šavāl/šuvāl*” is in turn from Sanskrit “*śrkāla-/śrgālā-*” that means jackal with no clear origin.

15. Lynx

From Latin “*lynx*”. The word is probably connected to Gr. *λεύσσειν* to see, thus the animal is named for its quickness of sight.

The Persian equivalent is “*siyāh-gūš*” meaning “black-eared” that clearly refers to the black tip of the animal’s ear.

16. Markhor

The term is from Pers. *mārkhōr*, literally “serpent-eater”.

The term being originally Persian means the animal that can eat/kill snakes.

17. Giraffe

The term is from F. *girafe* and originally from Arabic “*zarāfa*”. No semantic history.

In Persian “*zarrāfe*” from the Arabic origin and MPers. “*uštar-gāv-palang*” referring to different parts of this animal’s body similar to “camel-cow-panther”.

18. Bee

OE. *béo* < OTeut. **bīôn/biôn* < PIE. *b^hi* that

means “to fear, to quiver” from which later it developed into buzzing and humming.

Persian “zan-būr” < OIran. *zamba-bara is a compound formed from * zamba meaning “teeth, sting” and bara meaning “to carry, have, take” that literally means “sting-bearer”.

19. Vulture

The term is from OF. voltour < Lat. vulture that provides no semantic history.

Persian ‘karkas’ < MPers. karkās < OIran. Karka-āsa, the latter is a compound made from karka meaning “fowl, rooster” and āsa meaning “eater” from the

root “as” that means to eat.

20. Lark

OE. láferce/láewerce, the ulterior etymology is unknown however a supposed interpretation could be “treason-worker” as OE. láew means “treason” and the second part means as the current “work”.

Persian čakāv/čakāvak < MPers. čakōk < PIE. *kū-/kāu- meaning “chant, sing”. The term is an onomatopoeic expression.

2. Findings

In the following the findings of the semantic analysis is presented in a summarized form in table. 3.1.

Table. 3.1. Summarized meanings of the zoonyms

Zoonyms	English meaning	Persian meaning
1. wolf	plucker, tearer 1	plucker, tearer
2. bear	brown	damager, destroyer
3. lion	-----	jumper, springer
4. fox	tail	plucker, tearer
5. rooster	living in the roost	caller, crier
6. worm	-----	-----
7. horse	runner	quick-runner
8. ass	-----	rough, harsh
9. lizard	-----	hisser
10. hedgehog	pig-snouted	quills-backed
11. ox	-----	onomatopoeic
12. chicken	onomatopoeic	onomatopoeic
13. goose	-----	onomatopoeic
14. turkey	-----	colorful
15. sparrow	-----	speaker, voicer
16. tiger	quick-springer	smeller
17. duck	diver	-----
18. pig	-----	-----
19. cat	-----	plucker, tearer
20. raven	-----	onomatopoeic
21. hound	-----	-----
22. bull	beller	-----
23. lamb	-----	wool-covered animal
24. monkey	-----	-----
25. sheep	-----	sacred-animal
26. hawk	seizer	wing-speader
27. elephant	-----	-----
28. alligator	-----	-----
29. ibex	-----	mountain-goat

30. ant	cutter	-----
31. armadilo	bony-armed	grave-digger
32. beetle	biter	-----
33. camel	-----	breeder, moistener
34. shark	-----	scaleless
35. whale	-----	creeper
36. mouse	-----	robber, stealer
37. spider	spinner	weaver, spinner
38. cheetah	speckeled	speckeled-seeker
39. crab	1scratcher	chopper, cutter
40. owl	onomatopoeic	Bound, tied
41. bat	Waver, flapper	blind-eyed, night-flier
42. pheasant	of Phasis river,	onomatopoeic
43. grasshopper	grasshopper	chewer, eater
44. partridge	-----	onomatopoeic
45. rhinoceros	horn-nosed	-----
46. jackal	-----	-----
47. lynx	sharp-sighted	black-eared
48. markhor	snake-killer	snake-killer
49. giraffe	-----	-----, camel-cow-panther
50. zebra	-----	yellow, reddish yellow
51. hare	grey	big-eared
52. bee	quiverer, buzzer	sting-bearer
53. vulture	-----	eater
54. kite	-----	wing-speader
55. lark	treason-worker	chanter, singer

Table 3.2. Frequency and percentage of the features

Features	English	Percent in English	Persian	Percent in Persian
Obscure origin	28	50.9	13	23.6
Onomatopoeic	2	3.6	6	10.9
Outer physical attribute	9	16.3	11	20
Manner	16	29	26	47.2

Table3.3. Borrowings frequency

Languages	Latin	Arabic	Other languages	Total
English	27.2%	-----	10.9%	38.1%
Persian	-----	9%	5.5%	14.5%

Conclusion

As above tables show that these two languages are different in terms of the clarity of semantic history. English evidently shows more etymological obscurity. On the other hand, onomatopoeic expressions are higher in Persian than English although they occupy only a moderate proportion of the items in general. In fact the main part of the zoonymic formations are made from features of outer physical attribute and manner. In both languages these two features have a moderately high percentage. Main outer physical attributes includes properties of skin color and quality, form, size, parts of body and habitat. Yellow, brown and grey are examples of colors mostly associated with the animals, big-eared is an example of the size properties, and finally woolen and scaleless are examples of the skin quality properties. Features of manner pertains to those noticeable qualities of the behavior of the fore-mentioned animals such as springing and jumping, running, biting, tearing, damaging, scratching, eating and killing all being mostly associated with wild animals. Other activities like stealing, seeking, smelling, viewing are less common. Furthermore, a deeper look into the list of zoonyms reveals that a certain amount of them are borrowings from different languages both in Persian and English. The borrowings are basically from Latin in English and Arabic in Persian.

Generally the two Languages do not show similarity in the significant features they picked for naming the animals. That could be indicative of different cultural models in the minds of the of English and Persianspeakers

Literature

1. Al-Hasnawi A. (2007): "A Cognitive Approach to Translating Metaphors". Translation Journal 11(3). Available at <http://www.bokorlang.com/journal/41metaphor.htm> [last accessed 12 April 2009].

2. Gamkrelidze V. T. and Ivanov V. V. (1995): In-

do-European and Indo-Europeans, a Reconstruction and Historical Analysis of a Proto-language and a Proto-Culture. Mouton de Gruyter, New York/Berlin

3. Hassandoust M. (2016): An etymological dictionary of the Persian language. The Persian academy of language and literature publication, Tehran.

4. Kövecses Z. (2002): Metaphor: A Practical Introduction. Oxford: Oxford University Press

5. Lakoff G. and Turner M. (1989): More than Cool Reason: a Field Guide to Poetic Metaphor. Chicago, Chicago University Press

6. Martsa S. (2007): "Conceptual Mappings Underlying Metaphoric Applications of Generic and Specific Terms for Animals". In Studies in Applied and Theoretical Linguistics, R. Sheory and J. Kiss-Gulyás (eds), 209–221. Debreceni Egyetem: Kosuth Egyetemi Kiadó.

7. Mischler J. J. (2013): Metaphors across time and conceptual space. Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publications.

8. Oxford English Dictionary (2009): Second Edition on CD-ROM (v. 4.0), Oxford University Press

ინგლისური და სპარსული

ზოონიმები.

შეპირისპირებითი ეტიმოლოგიური ანალიზი

ფარზინ ლობადილადიკოლადეი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,

საქართველო

E-mail: fareinglobadi@outlook.com

რეზიუმე

ზოონიმები, ისევე როგორც თავად ცხოველები, ეოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ლინგვისტური პროდუქცი-

რების პროცესში. ზოონიმების მეტაფორული და სხვა სახის გამოყენება დაკავშირებულია კოგნიტურ მენტალურ მოდელებთან. მენტალური მოდელები კი სხვადასხვა ენის მატარებლების მიერ, კულტურული ცოდნის საფუძველზე გარემომცველი სამყაროს აღქმისა და კატეგორიზაციის შედეგია. აღნიშნული კატეგორიზაციისა და ცოდნის არსებითი ნაწილი კი ყალიბდება სხვადასხვა მოვლენის პროტოტიპიზაციით. სტატიაში მოცემული ანალიზი წარმოადგენს მცდელობას, დადგინდეს 55 ინგლისურ და სპარსულ ზოონიმში გამოყენებული ცხოველების მნიშვნელოვანი თვისებები და ხდება მათი კროს-ლინგვისტური შეპირისპირება. შედეგები გვიჩვენებს, რომ მიუხედავად რამდენიმე გაუგებარი ფუძისა, ცხოველთა თვისებების კატეგორიების შერჩევისას როგორც ინგლისური, ისე სპარსული ზოონიმები ავლენენ მსგავს ტენდენციებს, თუმცა, სხვადასხვა ცხოველისათვის ამა თუ იმ თვისების მიწერა განსხვავებულია. გარდა ამისა, როგორც ინგლისურ, ისე სპარსულ ენებში ზოონიმების ნაწილი ნასესხებია სხვა ენებიდან.

საკვანძო სიტყვები:

ზოონიმები, ეტიმოლოგიური ანალიზი, ცხოველები, პროტოტიპები.

Английские и персидские зоонимы. Сопоставительный этимологический анализ

Гобадигадиқолей Фарзин

Тбилисский государственный университет

Факультет гуманитарных наук

Пр. И. Чавчаваძე №36, 0179, Тбилиси, Грузия

E-mail: fareinglobadi@outlook.com

Резюме

Зоонимы как и собственно животные всегда играли важную роль в процессе лингвистического продуцирования. Использование метафорических и другого вида зоонимов связано с когнитивными ментальными моделями. Они являются результатом восприятия и категоризации окружающего мира, полученного на основе культурных знаний разноязычного социума. Основная часть указанных категорий и знаний являются результатом прототипизации разных явлений.

В статье представлен анализ 55 английских и персидских зоонимов, а так же значительные свойства животных и их крос-лингвистические сопоставления. Результаты показывают, что несмотря на некоторые непонятные основы, во время выбора категорий животных, как английские, так и персидские зоонимы выявляют одинаковые тенденции, хотя часть зоонимов как в английском, так и в персидском языках являются заимствованными из других языков.

Ключевые слова:

Зоонимы, этимологический анализ, животные, прототипы.

ინტერტექსტუალობის რეალიზაცია ბორის აკუნინის რომანებში

თამარ ჯაფოშვილი

საქართველოს საპატრიარქოს

წმინდა ანდრია პირველწოდებულის

სახელობის

ქართული უნივერსიტეტი

პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ი.ჭავჭავაძის გამზ. №53, თბილისი

საქართველო

ტელ: 577 111 728

E-mail: tamunajap@gmail.com

რეზიუმე

მხატვრული სიტყვიერების კოორდინატებში და მთლიანად კულტურულ სივრცეში ინტერტექსტუალობის პროცესი უზრუნველყოფილია პრეცედენტული ფენომენების ფუნქციონირებით, რომელთა განსაკუთრებული ვიტალურობა ჩანს მოდიფიცირების, მუდმივი განვითარების ტენდენციაში. პრეცედენტული ფენომენები ინტერტექსტუალობის მატერიალური ნიშნებია, მათი ზეპიროვნული ხასიათი განპირობებულია პიროვნების და მისი გარემოცვის სახელგანთქმულობით, მისი წინამორბედებისა და თანამედროვეთა ჩათვლით.

საკვანძო სიტყვები:

აკუნინი, ინტერტექსტუალობა, ფანდორინი, დისკურსი, დოსტოევსკი, „აღმასის ეტლი“, „დანაშაული და სასჯელი“, „აზა-ზელი“, ლინგვოკულტუროლოგია, ონიმები, პასტიში.

შესავალი

პოსტმოდერნისტული დეტექტიური ტექსტი საინტერესოა ტექსტის სემანტიკური სივრცის სტრუქტურირებაში პრეცედენტულ ფენომენტა როლის შესწავლის თვალსაზ-

რისით. თუკი კლასიკურ დეტექტივში ჟანრის კანონები განაპირობებენ იმ წესებსაც, რომელთა მიხედვითაც ასეთი ტექსტური სივრცე იწარმოება, პოსტმოდერნის ეპოქის დეტექტივი თანმიმდევრულად არღვევს ჟანრულ კანონებს. პოსტმოდერნის დეტექტივი კლასიკურს ეყრდნობა, როგორც პროტოტიპს, მოცემული ჟანრობრივი მოდელის მოთხოვნებს ხელახლა გაიაზრებს, მათ შორის ინტერტექსტუალური ჩანართების მეშვეობითაც. ჩვენი აზრით, აქ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ენობრივი თამაში, რომელიც არსებითად ააშკარავებს ჭეშმარიტების არარსებობას, რაც კლასიკური და მოდერნისტული დეტექტივისათვის აუცილებელია. ჟანრის ტრადიციები მოდიფიცირდება მოვლენათა რიგის რენტერპრეტაციის პროცესში. აქ პრინციპულად მნიშვნელოვანია პასტიში და კოლაჟი, რომლებიც პოსტმოდერნის ეპოქაში ინტერტექსტუალობის რეალიზაციის ძირითადი საშუალებებია. პასტიში პაროდის მონათესავეა, მისგან განსხვავებით, ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს ტექსტ-დონორთან, რომელიც არ გამოყოფს მასში კონკრეტულ სტილისტურ/აქსიოლოგიურ კომპონენტებს; კოლაჟი საშუალებას იძლევა ავაწყოთ ტექსტი სხვადასხვაგვარი ნაწილების შეერთებით.

პოსტმოდერნისტული სტილიზაციები, პაროდები და პასტიშები მიმართულია პრეცედენტული („ძლიერი“) ტექსტებისკენ, რომლებიც ააქტიურებენ ლიტერატურულ მითებს. ვ. ტოპოროვი „ძლიერ“ ტექსტებში მოიაზრებს მხატვრულ და რელიგიურ-ფილოსოფიური ან მისტიკური ტექსტების ზოგ სახეობას, რომელნიც აწარმოებენ მითოპოეტურ სივრცეს. ლიტერატურული მითების სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ „ეს მითები კოლექტიური მეხსიერების სიღრმეში ჩაბეჭდილი კულტურული ფონდია,

ისინი წინააღმდეგობას უწევენ მათი საკუთარი რაობის ნებისმიერ ერთმნიშვნელოვან განსაზღვრებას და ყოველთვის გადიან იმ მნიშვნელობათა ფარგლებს გარეთ, რომლებითაც მათ ასახელებს ყოველი ეპოქა; ამიტომ ვერც ერთი კონკრეტული ისტორიულად განპირობებული ინტერპრეტაცია ვერ შეძლებს მათ ამოწურვას, და ისინი ყოველთვის ინარჩუნებენ მიდრეკილებას იმ აზრისადმი, რომელიც მათში იღება ამა თუ იმ ნაწარმოებში.“ ლიტერატურული მითების ფუნქციონირებისათვის დამახასიათებელი „აზრის წაგრძელება“ განპირობებულია ავტორის მიერ მკითხველივით ინტერპრეტირებული პრეცედენტული ტექსტების კოგნიტურ-სემანტიკური პოტენციალის გადრმავებით.

ძირითადი ნაწილი

მხატვრული სიტყვიერების კოორდინატებში და მთლიანად კულტურულ სივრცეში ინტერტექსტუალობის პროცესი უზრუნველყოფილია პრეცედენტული ფენომენების ფუნქციონირებით, რომელთა განსაკუთრებული ვიტალურობა ჩანს მოდიფიცირების, მუდმივი განვითარების ტენდენციისაში.

პრეცედენტული ფენომენები ინტერტექსტუალობის მატერიალური ნიშნებია, მათი ზეპიროვნული ხასიათი განპირობებულია პიროვნების და მისი გარემოცვის სახელგანთქმულობით, მისი წინამორბედებისა და თანამედროვეთა ჩათვლით. ვ. კრასნიხი მიუთითებს, რომ პრეცედენტული ფენომენები კომუნიკაციის ნაციონალური მარკირებულობის განმაპირობებელი ერთიანი სისტემაა. პრეცედენტული ფენომენები შეიძლება იყოს ვერბალურები/ვერბალიზებული და არავერბალური (მრავალი სახეობის ხელოვნების ტექსტები, მხატვრობა, ქანდაკება, თეატრი, მუსიკა და სხვა) ვერბალური პრეცედენტული ფენომენები წარმოდგე-

ნილია კულტურულ-ტექსტობრივ სივრცეში პრეცედენტული სახელებითა და პრეცედენტული გამონათქვამებით. პრეცედენტული სახელი ინდივიდუალური სახელია (ხლესტიაკოვი, მანილოვი, პლიუშკინი), რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული პრეცედენტულ ტექსტთან /პრეცედენტულ სიტუაციასთან; პრეცედენტული გამონათქვამი წარმოგვიდგება როგორც თვითკმარი კომუნიკაციურ-კვლავწარმოებადი ერთეული („ვინაა დამნაშავე?“). პრეცედენტული ტექსტები („მკვდარი სულები“, „მამები და შვილები“) - ფენომენებია, ვერბალიზებული, დასრულებული და თვითკმარი პროდუქტები სამეტყველო-აზროვნებითი შემოქმედებისა, მისი საფუძველია ენობრივი პიროვნების მეხსიერებაში ასეთ ტექსტთა კონსერვაცია კონცეპტების, წარმოდგენების სახით, რომლებიც ხასიათდება მხატვრული ინფორმაციის (სიუჟეტი, პერსონაჟთა სისტემა და სხვა) უკიდურესი კომპრესიით [კრასნიხი 1999].

ვ. სლიშკინი მიუთითებს, რომ პრეცედენტული ფენომენები შეიძლება გამოვიკვლიოთ მათ მიერ ფორმირებული ადამიანის სამყაროს სურათში კონცეპტების პოზიციიდან, ამით გამოვლინდება ფასეული დამოკიდებულება პრეცედენტული ტექსტისადმი. კვლევის ასეთი ვექტორი შესაძლებლობას იძლევა დავადგინოთ პრეცედენტული ტექსტის შესვლა პიროვნების (და/ან ადამიანთა ჯგუფის) ფასეულობათა სისტემაში და მისი მონაწილეობა შესაბამისი კონცეპტის ფორმირებაში. პრეცედენტული ტექსტები იმყოფება ენისა და კულტურის პირაპირზე (ტაეპის დამამთავრებელი და მისი მომდევნო ტაეპის დამწეები ბგერების დამსგავსება) და ამაშია მათი უნიკალურობა. პრეცედენტულ ტექსტს აქვს ფასი კონკრეტული კულტურული ჯგუფისათვის, ამიტომ ის კულტურული ფენომენია, ხოლო მისი ტექსტური მახასიათებლების მიხედვით შეიძლება გამოვიკვლიოთ ის, როგორც

ენობრივი მოვლენა. მხატვრული ტექსტის კოგნიტური სტრუქტურისა და ლინგვოკულტურული ნიშნების გასაზრებლად მნიშვნელოვანი კატეგორიაა პრეცედენტული ფენომენები, რომელთა გარეშეც ინტერტექსტუალობის, როგორც პროცესის განხორციელება შეუძლებელია.

მხატვრულ ტექსტებში პრეცედენტული ფენომენების ტექსტური ფუნქციები განსხვავებულია. ლ. გრიშევა განიხილავს მათ ადრესატის ინფორმირების პოზიციიდან:

- მოცემული კულტურისათვის მაქსიმალურად დამახასიათებელი ფუნქციონირების ფასეულობების სისტემის შესახებ;
- მოღვაწეობის მოტივების შესახებ;
- ინდივიდუალის ყველაზე დამახასიათებელი თვისებების შესახებ;
- ტიპური კომუნიკაციური სტრატეგიების შესახებ ენის გარეთა სინამდვილის ვერბალიზაციისას..... და სხვა (გრიშევა 2008).

ასეთი მიდგომით შეიძლება ვიმსჯელოთ კონკრეტულად რომელ ლინგვოკულტურას ეკუთვნის ტექსტი, დავახასიათოთ ისტორიული ეპოქა, პერსონაჟი და მისი სამეტყველო პორტრეტი, მოვნიშნოთ ეთნოსპეციფიკა მის არსში, მხატვრული ტექსტის პროდუცენტის ინტენციები, აღვნიშნოთ მოქმედების განვითარების კულმინაცია, მხატვრულ ტექსტში განგახორციელოთ სიმბოლიზაცია, ხელი შევუწყოთ ეფექტურ კულტურათაშორის კომუნიკაციებს, სტერეოტიპებისა და ცრურწმენების ნგრევას.

პრეცედენტული ფენომენები მიეკუთვნება სხვადასხვა სემიოტიკურ სისტემას, ხოლო დეკოდირდება ენის (კოდი), კულტურის (ინფორმაცია) და კოგნიციის სისტემაში. როგორც ლინგვოკულტურული რაობები, პრეცედენტული ფენომენები ეროვნული სამყაროს სურათის მნიშვნელოვან კომპონენტებს ააშკარავებენ, ბევრად განაპირობებენ მხატვრული ტექსტების აღქმასა და წარმოებას.

პოსტმოდერნისტული დეტექტიური ტექსტისთვის დამახასიათებელია სათამაშო მოდალობა, რომელიც ახორციელებს პრინციპს „ორმაგი ოპტიკა“: მკითხველი ასეთ ტექსტს ღია ტექსტად აღიქვამს, რადგან მრავალი ნავარაუდები (ნაგულისხმევი) ინტერპრეტაციის კოგნიტური მოდელი გადარეცხილი აღმოჩნდება. ასეთ რაკურსში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დეტექტიურ სიუჟეტში პერსონაჟების მიერ რეალიზებულ ფუნქციათა მოდიფიკაციები, რაც მთლიანობაში წარმოჩინდება როგორც „გაცრელებული მოლოდინის“ ეფექტის შედეგი.

პრეცედენტულ ფენომენებს შეუძლიათ კონცეპტების წარმოქმნა, რაც უზრუნველყოფს მათ შესვლას ეთნოსის კოგნიტურ ბაზაში. ენობრივი პიროვნება პრეცედენტულ ფენომენებს აფიქსირებს, როგორც ცნობიერების ჩარჩო-სტრუქტურებს, რომლებიც იწარმოება კლიშეების/შტამპების ნაწინასწარმეტყველები ვალენტური კავშირების „კონების“ მეშვეობით (კრასნიხი 1999). პოსტმოდერნის დეტექტიურ ტექსტში პრეცედენტული ფენომენები ორმაგ ტრანსფორმაციას განიცდიან - 1. ავტორი-ინტერპრეტატორი განსაზღვრავს პროდუცირებული ტექსტის აღქმის ვექტორს ტექსტი-დონორის საშუალებით, რითაც განსაზღვრავს მკითხველური რეცეპციის დომინანტებს; 2. მკითხველი აყალიბებს ახალ ტექსტს ტექსტ-დონორზე საკუთარი წარმოდგენებისა და მასზე ავტორის შეხედულების შესაბამისად.

პოსტმოდერნის დეტექტიური ტექსტი არის დეტექტიური ჟანრისა და დეტექტიური დისკურსის კანონთა აქტიური ურთიერთქმედება, სადაც დისკურსი წარმოგვიდგება როგორც პროდუცენტისა და რეციპიენტის კომუნიკაცია, ტექსტის წარმოშობა და აღქმა, რომლის მთავარი მიზანი მკითხველის გართობა და მისი დანაშაულის გამოძიებაში ჩათრევაა. დეტექტიური დისკურსი უფლებას აძლევს პროდუცენტს დაარღვიოს

ქანრის კანონები, რადგან კოგნიტური მოდელები დინამიკურია, მათ შორის პრეცედენტულ ფენომენტა სფეროში მათი გარევის მიზეზითაც.

ბორის აკუნინის ინდივიდუალურ-საავტორო სტილი ხასიათდება მაღალი პრეცედენტული სიმკვრივით. ის მთლიანობაში პოსტმოდერნისტული ტექსტების ტენდენციას ასახავს. ინტერტექსტუალობა მათი განმასხვავებელი ნიშანი ხდება, რასაც ხელს უწყობს მათში სხვადასხვა ტექსტურ დონეზე პრეცედენტულ ფენომენტა არსებობა (ონიმები, გამონათქვამები, ტექსტები და სიტუაციები). ბორის აკუნინის დეტექტიურ ტექსტთა ადეკვატური ინტერპრეტაცია ნაწილობრივ გართულებულია არა მარტო ოსტატურად შექმნილი და მათში გაშლილი დეტექტიური ინტრიგის გამო, არამედ სემანტიკურ სივრცეში რუსულ და სხვა კულტურათა პრეცედენტული ფენომენტების ტექსტთა ჩართვის მიზეზითაც. მოცემული ფაქტი განაპირობებს მკითხველის კომპეტენტურობის აუცილებლობას, მათ შორის ტექსტთაშორისი ურთიერთქმედებისა და კულტურული მეხსიერების ფარგლებშიც. ბორის აკუნინის შემოქმედება კარგი ბელეტრისტული დონის დეტექტიური ტექსტების მოთხოვნის შედეგად ქრესტომათიული გახდა და პოზიციიდან - კითხვა, როგორც დასვენების ფორმა. ასევე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მისი დეტექტივები ისწრაფვიან ჩართონ მკითხველი ინტერტექსტუალური ცოდნის თამაშში გარკვეული კულტურული ტექსტების ამოცნობის თვალსაზრისით. მის დეტექტიურ რომანებში სტილთა და ჟანრთა თამაშს თან ახლავს ავტორის თამაში და რეფლექსია უკვე შექმნილი ტექსტების შესახებ.

გაცრუებული მოლოდინის ეფექტი მიიღწევა პრეცედენტული ჟანრებისადმი მიმართვის შედეგად, თუმცა აკუნინი თავის ნაწარმოებთა ტექსტებში რთავს ისეთ ჟანრობრივ მოდელებსაც, რომელიც შეიძლება ფართო

მკითხველისთვის უცნობი იყოს. მაგალითად, რომანში „მთელი სამყარო თეატრია“, მთავარი გმირი ერასტ ფანდორინი საყვარელი მსახიობი ქალისთვის ქმნის „თოჯინების თეატრის პიესას“ იაპონური თეატრის ტრადიციული ფორმით. ამაზე მიუთითებს ავტორის კომენტარიც „სიმღერებით, ცეკვებით, ფარიკაობის სცენებით...“ მოცემული ტექსტი იძლევა დამატებით გასაღებს დანაშაულის გასახსნელად, ახალ ეთნო- და ლინგვოკულტურულ კოორდინატებში მოთავსებულ პერსონაჟებს ახასიათებს ახალი მხრიდან, რაც აუცილებლად აღრმავებს მოცემული დეტექტიური ტექსტის კოგნიტურ-პრაგმატულ პოტენციალს. აზრი გრძელდება არა მარტო დეტექტივის ძირითადი მოქმედების განვითარების სიბრტყეში, არამედ ავტორობის მისტიფიკაციის დონეზეც: დეტექტიური ტექსტის პერსონაჟი ქმნის პიესების ტექსტს, ამასთან, იაპონური კულტურისკენ, იაპონური თეატრის ტრადიციული ჟანრისკენ გადახრა იწვევს მეტატექსტურ გადაგზავნას ერასტ ფანდორინთან რომანიდან „ალმასის ეტლი“, რომელშიც გმირის შეყვარებული, ისევე, როგორც მის მიერ შექმნილ პიესაში, არის „უმაღლესი დონის გეიშა“ ო-იუმი.

ფანდორინის მიერ დაწერილი პიესის სათაურიც - „ორი კომეტა უვარსკვლავო ცაში“ - ასევე აგზავნის მკითხველს რომან „ალმასის ეტლიდან“, რომელშიც ვარსკვლავთა სიმბოლიკა ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს. მაგალითად, რომან „ალმასის ეტლის“ მეორე ტომის ყოველი თავის ფინალი არის ერთგვარი „ჰოკა“, რომელთა შორის ერთ-ერთი შეიცავს მნიშვნელოვან სიმბოლოს:

„ცისფერ ცაზე. აბა, შეეცადე, დაინახო ცისფერი ვარსკვლავი“ [აკუნინი 2011].

პრეცედენტული ფენომენტები გამოკვეთენ მხატვრულ სამყაროს, როგორც კონკრეტული ლინგვოკულტურის კოორდინატებს, რაც უმეტესწილად ასახავს თვით ავტორის საერთო და პროფესიონალური კულტურ-

რის დონეს. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ბორის აკუნინი მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა (იგი თარგმნიდა ინგლისური და იაპონური ენებიდან). გარდა ამისა, მწერალი 1994-2000 წლებში მუშაობდა ჟურნალის „ინოსტრან-ნაია ლიტერატურა“ მთავარი რედაქტორის მოადგილედ. იგი ასევე ოცტომიანი „იაპონური ლიტერატურის ანთოლოგიის“ მთავარი რედაქტორია.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ბორის აკუნინი მუდმივად აგზავნის მკითხველს რუსული ლინგვოკულტურის პრეცედენტულ ტექსტებთან, რითაც ააქტიურებს ინტერტექსტუალობის პროცესს. მაგალითად, რომანში „ალმასის ეტლი“ ერთ-ერთი პერსონაჟი დორონინი ფანდორინთან ო-იუმის შესახებ დიალოგში იყენებს მყარ შესიტყვებას „მკვახე ყურძენი“, რაც არაორაზროვნად აგზავნის მკითხველს კრილოვის იგავთან „მელა და ყურძენი“: „ჯერ ერთი, ასეთი ქალი არავის ეკუთვნის. ეს მას ეკუთვნის ყველაფერი. მეორეც, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, ქალები სიყვარულისგან არ ჭუჭყიანდებიან (ბინძურდებიან), მხოლოდ ანათებენ. თუმცა, თქვენი ფრუტუნი შეიძლება მივაკუთვნოთ ჟანრს „მკვახე ყურძენი“. [აკუნინი 2011].

ინტერტექსტუალობის მნიშვნელოვან ნიშნად ასევე გვევლინება პრეცედენტული სახელები. ბორის აკუნინის რომანებში ხშირად ვხვდებით ტექსტების ინტერტექსტუალურ კავშირებს განვლილი ეპოქების ლიტერატურულ და ზოგადკულტურულ ტრადიციებთან. მაგალითად, რომანის - „მთელი სამყარო თეატრია“- პერსონაჟს ჰქვია ელიზა. ეს მისი სცენური ფსევდონიმია, რაც უცილობლად რეცეფციულ-ინტერპრეტაციულ პროცესში ამყარებს ასოციაციურ კავშირს ბერნარდ შოუს პიესასთან „პიგმალიონი“, სადაც მთავარ მოქმედ პირს ელიზა დულიტლი ჰქვია. ბუნებრივია, მკითხველის კომპეტენცია დაადგენს ამოსავალ ტექსტსაც - ესაა ძველბერძნული მითი მოქანდაკე პიგმალიონზე.

ეს ქმნის ახალ სემანტიკურ სივრცეს: პიგმალიონი (ძვ.ბერძნ.) - პიგმალიონი-ჰიგინსი (ბ. შოუ) - ფანდორინი, როგორც ტრადიციული იაპონური თეატრის სტილიზაციით პიესის დამდგმელი, მსახიობი ქალის ახალი ამპლუის, ახალი სახის შემქმნელი, ასევე ელიზას აღორძინება - გადასვლა ახალ ცხოვრებისეულ ეტაპზე მისი სიცოცხლისათვის საშიში საფრთხის მოსპობის მეშვეობით.

რომანში „ალმასის ეტლი“ ვხვდებით ავტორისეული თამაშის შემთხვევას საკუთარ ფსევდონიმთან, რომელსაც მისი პოპულარობის გამო პრეცედენტული ხასიათი აქვს. მაგალითად, ერთ-ერთი თავის ბოლოს ვკითხულობთ: „У Акунина Хрипный хохот, нож в зубах, Шальные глаза“ [აკუნინი 2011], რომელიც მარკირებული სიტყვის თავდაპირველ არსს ამგვარად ხსნის: აკუნინ იაპონურიდან ითარგმნება, როგორც ბოროტმოქმედი, ბუმბერაზული მასშტაბის არამზადა, ბოროტების მხარეს მდგარი იშვიათი პიროვნება. სხვა სიტყვებით, ფსევდონიმის ასეთი განმარტება რაღაც დოზით ეფარდება უარყოფითი რომანტიკული გმირის გაგებას, რომლის ყველაზე ნათელი რეალიზაციაა, მაგალითად, ლერმონტოვის დემონი. მთლიანობაში, პრეცედენტული ონიმები წარმოაჩენენ ტენდენციას გაცრელებული მოლოდინის ეფექტის მანიფესტირებისაკენ პრეცედენტული სიტუაციის აქტუალიზაციით. პრეცედენტული სახელები არაორაზროვანია, აშკარად განსაზღვრულია, თუმცა მათი კოგნიტური პოტენციალი იხსნება თანდათანობით, „შრეობრივად“, თანაც არსებითად ასახავს დეტექტიური ტექსტის რეციპიენტის კომპეტენციებს. მათი ემოციური გაჯერებულობა, კოლექტიური ენობრივი პიროვნებისთვის მნიშვნელოვნობასთან დაკავშირებული, საშუალებას იძლევა მთლიანად რეალიზდეს პერსონაჟთა ფუნქციები.

რა თქმა უნდა, ტექსტური კომპოზიციის რეალიზაცია ადასტურებს პრეცედენტული

ქანრის სიცხადეს, რაც პოსტმოდერნისტული დეტექტივების ავტორებს საშუალებას აძლევს სტილიზაციით/პაროდირებით ტექსტების კონცეპტები გაააქტიურონ, ასევე მკითხველის ყურადღება შეაჩერონ კონკრეტულ სიუჟეტურ მოქმედებაზე. პრეცედენტული ფენომენები, როგორც ინტერტექსტუალობის მარკერები, პრინციპულად მნიშვნელოვანი ხდება პოსტმოდერნისტული დეტექტიური ტექსტის პოლიფუნქციონალობის განსახორციელებლად. ინტერპრეტაციათა სიმრავლე, რომელიც კანონზომიერად დამახასიათებელია პოსტმოდერნისტისთვის, პრეცედენტულ ქანრებზე დაფუძნებულ დეტექტიურ ტექსტებში, უფლებას იძლევა ავტორის თამაშის პროდუცირებისა აზრებთან, ქმნის ტექსტთა კონცეპტების შეპირისპირება-შეფარდების კომიკურ ეფექტს, თანაც, ნაწილობრივ მხატვრული სახეების, პერსონაჟების და სიუჟეტური სიტუაციების ვიზუალიზაციას ეფექტურად ახორციელებს.

ბორის აკუნინის რომანის „ფ.მ.“ ერთ-ერთი პერსონაჟის ინტერტექსტუალური სივრცე ფორმირებულია პერსონაჟის სტრუქტურაში ინტერტექსტუალური კავშირების თანაარსებობის ხარჯზე. ის ვლინდება ენობრივ დონეზე და მკითხველს აგზავნის სხვადასხვა პრეტექსტთან.

აკუნინის რომანი „ფ.მ.“ ორი ნაწილისგან შედგება. ძირითად ნაწილში ნიკოლას ფანდორინი ეძებს რომანის „დანაშაული და სასჯელი“ ვითომ დაკარგულ ვარიანტს სახელწოდებით „Теория“, ქართულად - „კონცეფცია“, „იდეა“, ან „თეზისი“. რომანისთვის „ფ.მ.“ ტექსტი-წყარო არის ფ.მ. დოსტოვესკის ნაწარმოები „დანაშაული და სასჯელი“, ამიტომ ბევრი პერსონაჟი რომანიდან „ფ.მ.“ ინტერტექსტუალურია დოსტოვესკის რომანის პერსონაჟებისა. მაგალითად, ლუზგაევის სახე შეიძლება შევუფარდოთ ლუჟინისა და სვიდრიგაილოვის სახეებს დოსტოვესკის რომანიდან.

ბენიამინ პავლოვიჩ ლუზგაევი არის

ძველებური დოკუმენტების კოლექციონერი. სწორედ მასთან აღმოჩნდა ასე ვთქვათ „თეზისთა“ თუ „იდეათა“ ერთი ნაწილი. ლუზგაევის სახის ინტერტექსტუალურ კავშირზე ლუჟინის სახესთან მიუთითებს რომანის „ფ.მ.“ ტექსტი: „ფილიპ ბორისოვიჩის მეთოდი ძალზე უბრალო იყო. რადგან იგი მთლიანად დოსტოვესკის სამყაროში იყო ჩაფლული, რეალურ ცხოვრებაში შემხვედრ ადამიანებს თავისთვის აზრობრივად აღნიშნავდა ამა თუ იმ პერსონაჟის სახელით. ლუზგაევი მისთვის იყო ლუჟინი“ [აკუნინი 2006]. უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ენობრივ დონეზე გამომუდგენებული ლუზგაევის სახის ინტერტექსტუალური კავშირები. გვარები ლუზგაევი და ლუჟინი ფონეტიკურად მსგავსია: ორივე გვარი იწყება მარცვალზე „ლუ“. ლუზგაევისა და ლუჟინის გარეგნობაში მსგავსება არის ბაკენბარდები.

რომანში „დანაშაული და სასჯელი“ ვკითხულობთ: „მუქი ბაკენბარდები სასიამოვნოდ ჩრდილაგდნენ მას ორივე მხრიდან, ორი კოტლეტის მსგავსად, და მეტად ლამაზად სქედდებოდნენ სუფთად გაპარსულ, გაპრიალებულ ნიკაპთან ახლოს.“ ლუზგაევის გარეგნობა ასეა აღწერილი: „გადაგლესილი თმები, ჯაგრულა უღვაშები, აკურატული ბაკენბარდები“. (აკუნინი, 2006).

სვიდრიგაილოვის სახესთან ინტერტექსტუალური კავშირი გარეგნობის აღწერისას, ლექსემის „ნიდაბი“ გამოყენებით ჩანს. სვიდრიგაილოვის შესახებ ვკითხულობთ: „ეს იყო რაღაც უცნაური სახე, თითქოს ნიღბის მსგავსი...“ (დოსტოვესკი 1989). სვიდრიგაილოვის პორტრეტში ლექსემა ნიდაბი გამოყენებულია როგორც მეტაფორული შედარება. ლუზგაევის პერსონაჟი ამგვარადაა აღწერილი: „თავისი სიფრთხილისა და წინდახედულების გამო, იგი ქალებს ყოველთვის ხვდებოდა ნიღბით.“ [აკუნინი 2006]. ლუზგაევის პორტრეტში მეტაფორა უფრო ზუსტად იკვეთება და ლექსემა

ნიდაბი კონკრეტულ საგანს აღნიშნავს.

ამგვარად, ლუზგაევის გარეგნობაში არის როგორც ლუჟინის, ასევე სვიდრიგაილოვის ნიშნები. შევადაროთ ერთმანეთს ლუზგაევის და ლუჟინის შეხედულებები. ლუზგაევის აქვს თავისი ეკონომიკური თეორია: „თქვენ იცნობთ ამ ეკონომიკურ თეორიას? მისი არსი უბრალოა: „იყიდე იაფად, გაყიდე ძვირად“.[აკუნინი 2006].

ლუჟინი ამტკიცებს: „მაშასადამე, როცა მოვიპოვებ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს, ამით მოვიპოვებ ყველაფერს და ვცდილობ, რომ ახლობელმა მიიღოს ცოტათი უფრო გახეული კაფტანი უკვე არა კერძო, ერთეული წყალობით, არამედ საყოველთაო წარმატების მიღწევის შედეგად“ [დოსტოევსკი 1989]. ლუზგაევის ეკონომიკური თეორია უფრო ცინიკურად გამოიყურება, რადგან არ გულისხმობს პირადი შრომისა და დროის ჩადებას. ლუჟინის თეორია ეფუძნება იმას, რომ უნდა მოაწყო საკუთარი საქმე, ანუ უნდა დახარჯო ძალაც და დროც. მიუზღვრებოთ ლუზგაევის საუბრის ანალიზს. მოცემული პერსონაჟისათვის დამახასიათებელია გამოთქმა „იცით“: „იცით, სადამოსთვის რაღაც გეგმები მაქვს...“ [აკუნინი 2006].

ასეთივე გამოთქმას იყენებს ლუჟინიც: „იცით, უკვე ათი წელია პეტერბურგში არ ვყოფილვარ“ [დოსტოევსკი 1989]. პერსონაჟის მეტყველების ანალიზი ამტკიცებს ინტერტექსტუალური კავშირის არსებობას ლუზგაევისა და ლუჟინის სახეებს შორის. გარდა ამისა, ლუზგაევის საუბარში ჩანს ინტერტექსტუალური კავშირები წყაროსთან, რომლებიც არ მიეკუთვნება რომანს „დანაშაული და სასჯელი“. ყურადსაღებია ლუზგაევის სიტყვები: „ნებისმიერს ყიდვა შეიძლება. საბანკო გადარიცხვით არა, მაგრამ ბარტერით: პატივისცემით ან ახლობლების გადარჩენით, სინდისის დაწინარებით, ან საპასუხო სიყვარულით. მაგრამ, სხვათა შორის, თითოეული ამ „სწრაფი ლეკვებიდან“ შეიძლება სურვილისამებრ საბ-

ოლოდ წერილობით ამოირიცხოს სიიდან“ [აკუნინი 2006].

გოგოლის პიესაში „რევიზორი“ „სწრაფი ლეკვები“ გულისხმობს ქრთამს არა ფულით, არამედ ნივთით: „მე ყველას ღიად ვეუბნები, რომ ვიღებ ქრთამს, მაგრამ ქრთამს რითი? სწრაფი ლეკვებით.“ ლუზგაევი „სწრაფ ლეკვებს“ უწოდებს იმას, რაც წესიერი ადამიანის აზრით, არ უნდა იყოს ვაჭრობის საგანი: ღირსება, სინდისი, სიყვარული. ამგვარად, ლუზგაევი საუბარში პიესა „რევიზორიდან“ ისეთ გამონათქვამს იყენებს, რაც ადამიანური გრძნობების მისამართით იხმარება. ეს მას ახასიათებს, როგორც ადამიანს, ვისთვისაც ყველაფერი ფულის თვალსაზრისით განიხილება. ნიკოლას ფანდორინთან საუბრისას ლუზგაევი ამბობს ფრაზას: „ოხ, იყიდება, yes, იყიდება კარგი სახელი, ტალანტი და სიყვარული!“ ესაა გადაკეთებული ციტატა ბ. ოკუჯავას ნაწარმოებიდან „Стать богатеem иной норовит...“ – „გამდიდრების ჟინი“, სადაც არის ასეთი სტრიქონები: „არ იყიდება, არ იყიდება - კარგი სახელი, ტალანტი და სიყვარული.“ [აკუნინი 2016].

ლუზგაევი უარყოფით ნაწილაკს „არ“ ცვლის სიტყვებით „ოხ“ და „yes“, ამით მოცემულ გამონათქვამს გადააკეთებს მტკიცებითად, ანუ ცვლის გამონათქვამის აზრს საპირისპიროთი და ამტკიცებს, რომ შეიძლება კარგი სახელის, ტალანტის და სიყვარულის ყიდვა. აუცილებელია აღინიშნოს, რომ მოცემული ფრაზა წარმოადგენს ამოსავალ წერტილს ლუზგაევის მსჯელობებში სათნობაზე, რადგან იგი საუბრობს მასზე სწორედ იმ თანმიმდევრობით, როგორც წარმოდგენილია შეცვლილ ციტატაში. განვიხილოთ მოცემული მტკიცებულება დაწვრილებით. ლუზგაევის სიტყვებით, კარგი სახელი შეიძლება იყიდოს შემდეგნაირად: „რამდენიმე ასეული ათასი ქველმოქმედებაზე, რამდენიმე მილიონი ჭკვიანურ პიარზე - ესეც თქვენი კარგი სახელი.“ [აკუნინი 2006].

შემდეგ ლუზგაევი უხსნის ფანდორინს, თუ როგორ შეიძლება ბავშვში ტალანტის განვითარება, როცა ბევრი ფული გაქვს: „შემდეგ, როცა იცით, ბუნებით რომელი მიდრეკილებებისაა თქვენი ბავშვი, ჩადებთ ამ ტალანტის გამოზრდაში კიდევ ამდენს და თხუთმეტიოდე წლის შემდეგ მიიღებთ მზა გენოსს. როგორც თანამედროვე მეცნიერება ამტკიცებს, ყოველ ჩვენგანში ჩადებულია რაღაც დაფარული ნიჭი, უბრალოდ, კარგად უნდა მოვქექოთ ეს ადამიანში. ამაზე რომანიცაა დაწერილი, იმისი, რა ქვია... დამავიწყდა სახელი. ჯანდაბას მაგის თავი.“ [აკუნინი 2006]. ციტატის მეორე ნაწილი არის ლედი ესტერის საუბრის პერიფრაზი ბორის აკუნინის ნაწარმოებიდან „აზაზელი“: „მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყოველი ადამიანი განუმეორებლად ნიჭიერია, ყოველში ჩადებულია ღვთაებრივი ნიჭი. ჩემი პედაგოგები გამომცდელად და მოთმინებით ამოწმებენ თითოეული აღსაზრდელის სულიერ მოწყობილობას, ეძებენ მასში ღვთიურ ნაპერწკალს და ათიდან ცხრა შემთხვევაში პოულობენ!“ [აკუნინი 2017]. მოცემული ინტერტექსტუალური კავშირი, ანუ ავტონტერტექსტი ავლენს ლუზგაევის ცინიზმს, რადგან რომანში „აზაზელი“ ლედი ესტერი თვლიდა, რომ ადამიანში ტალანტი შეიძლება გააღვიძო თავდაუზოგავი შრომით, ლუზგაევი კი საუბრობს მხოლოდ დიდი რაოდენობით ფულის ქონის აუცილებლობაზე. ლუზგაევი ნიკოლას ფანდორინს უხსნის, თუ როგორ შეიძლება გოგონას სიყვარულის ყიდვა: „ელემენტარულია. მაგალითი ისევ და ისევ ლიტერატურაშია აღწერილი. ალექსანდრ გრინი, მოთხრობა „ალისფერი იალქნები“. თქვენ ქირაობთ კერძო დეტექტიურ სააგენტოს, რათა გაარკვიოთ, თუ კონკრეტულად რაზე ოცნებობს თქვენთვის საინტერესო ქალიშვილი. ვარკვევთ: მას სჭირდება პრინცი, რომელიც მასთან მოცურდება ალისფერიალქნებიანი ხომალდით. რამდენი ღირს გემის დაქირავე-

ბა ეკიპაჟთან ერთად? იალქნებზე რამდენი მეტრი ალისფერი ქსოვილი დაიხარჯება? თუკი ძალიან ძვირია, ბითუმად შეძენისთვის გეკუთვნით ფასდაკლება.“ („ალისფერი იალქნები“) მაშ ასე, ვხედავთ, რომ ა. გრინის მოთხრობაში „ალისფერი იალქნები“ გამოცემული ლამაზი რომანტიკული ისტორია იმაზე, თუ როგორ „მიდიოდა ასოლი ზღვის ნაპირზე ღამით, ელოდა ცისკარს, სრული სერიოზულობით ზვერაგდა ხომალდს ალისფერი იალქნებით“, ლუზგაევის გადაკეთებული აქვს სავაჭრო გარიგების ენით, იყენებს ისეთ დამახასიათებელ სიტყვებსა და გამოთქმებს, როგორცაა „ქირაობა“, „ბითუმად შეძენა“, „ფასდაკლება“, რაც მეტყველებს ლუზგაევის ცინიზმზე.

ამგვარად, ლუზგაევის სახეში ინტერტექსტუალური კავშირების გაანალიზების შედეგად, ვასკვნით, რომ მოცემული პერსონაჟის ინტერტექსტუალური სივრცე ყალიბდება მრავალი წყაროს ხარჯზე. ამასთან, ძირითადია რომანის „დანაშაული და სასჯელი“ პერსონაჟთა - ლუჟინისა და სვიდრიგაილოვის სახეებისკენ გადამგზავნი ინტერტექსტუალური ელემენტები, ამით ლუზგაევის სახე დოსტოვესკის ორივე პერსონაჟის უარყოფით თვისებებს აგროვებს. მნიშვნელოვან როლს თამაშობს პერსონაჟის მეტყველებაში გამოვლენილი ინტერტექსტუალური კავშირები.

ინტერტექსტის გამოყენებით ბორის აკუნინმა შექმნა ჩვენი დროის ადვილად საცნობი ტიპი - წარმოსადეგი საქმოსანი, ყველაფერზე ფულის გამკეთებელი, რომელიც თვლის, რომ ყველაფრის ყიდვა შეიძლება: „ქვეყნიერებაზე ყველაფერს აქვს ფასი. მათ შორის წესიერებასაც. უწესო წესიერისგან მხოლოდ ერთი რამით განსხვავდება: პირველი თავს იაფად აფასებს და იაფად იყიდება, მეორე თავს ძვირად აფასებს და შესაბამისადაც იყიდება. სასურველია არა ბითუმად, არამედ ცალობით, პატარ-პატარა ნაჭრებად“ [აკუნინი 2006].

დასკვნა

ბორის აკუნინის ნაწარმოებები მრავალ-შრიანი და მრავალდონიანია. მათი თავისებურებაა „მასობრივ“ და „ელიტარულ“ ლიტერატურათა საზღვრების გადახლართვა და ორგანული შერწყმა. აკუნინის ნაწარმოებები „მაღალ“ ლიტერატურას ენათესავენ ისეთი თვისებებით, როგორცაა მრავალდონიანობა (ან ორმაგი კოდირება), ვირტუალურ რეალობასთან თამაში, დრმა შინაგანი სამყაროს მქონე მთავარი გმირის იდეალური სახე, ზუსტი და მოხდენილი ენა. მეორე მხრივ, მიზანდასახული გასართობი სტილი, სიუჟეტთა სტერეოტიპულობა, ეგრეთ წოდებული „ჰეფენდი“, აღქმის უბრალოება - დამახასიათებელია „მასობრივი“ ლიტერატურისთვის. ჩვენი აზრით, ასეთი ორმხრივობა საშუალებას იძლევა აკუნინის „კრიმინალური რომანები“ მივაკუთვნოთ ე.წ. „მიდლ-ლიტერატურას“, რომელსაც ამჟამად ზოგი მეცნიერი, მაგალითად, ს. ჩუპრინინი გამოყოფს როგორც შუალედურ ფენას „მასობრივ“ და „ელიტარულ“ ლიტერატურებს შორის. მასვე მიაკუთვნებენ მაღალი ლიტერატურის „გამარტივებულ“ ვარიანტებს, რომლებიც მკითხველისგან არ ითხოვს აღქმის განსაკუთრებულ სულიერ და ინტელექტუალურ დაძაბვას, ასევე „მასობრივი“ ლიტერატურის იმ ფორმებს, რომლებიც გამოირჩევა მაღალი საშემსრულებლო ხარისხით და მიმართულია კარგი გემოვნების ჩამოყალიბებისაკენ.

ლიტერატურა

1. Акунин Б. Ф. М. (2016): Электрон. б-ка Рус Лит. URL: <http://www.ruslit.net/preview>
2. Акунин Б. Ф. М. (2016): Электрон. б-ка РусЛит. URL: <http://www.ruslit.net/preview>

3. Арутюнова Н. Д. (1990): Дискурс // Лингвистический энциклопедический словарь. М.: Советская энциклопедия
4. Барт Р. (1989): Избранные работы. Семиотика. Поэтика. М.: Прогресс
5. Гришаева Л. В. (2008): Прецедентный текст как универсальное средство передачи и хранения культурной информации // Политическая лингвистика. № 1 (24)
6. Деррида Ж. Деконструкция: триалог в Иерусалиме / Ж. Деррида, Д. Хартман, В. Изер; [пер. с англ. В. Мерлина] [Электронный ресурс]. - Режим доступа: www.gumer.info/bogoslov_Buks/Philos/Derr/dekon.php
7. Завьялова Г. А. (2013): Прецедентный текст как средство пародирования детективного дискурса // Вестн. Кемеровского гос. ун-та. № 1 (53)
8. Ильин И. П. (1996): Постструктурализм. Деконструктивизм. Постмодернизм / И.П. Ильин. - М.: Интрада
9. Кашкин В. Б. (2005): Сопоставительные исследования дискурса // Концептуальное пространство языка. Тамбов: ТГУ
10. Кемеров В. Постмодернизм / В. Кемеров // Философская энциклопедия. - М.: Панпринт, 1998 [Электронный ресурс]. - Режим доступа: www.term.ru/dictionary/183/word/%CF%CE%D1%D2%CC%CE%C4%C5%D0%CD%C8%C7%CC.
11. Кибрик А. А. (2009): Модус, жанр и другие параметры классификации дискурсов // Вопросы языкознания. Вып. 2. С. 3 - 21.
12. Красных В.В. (1999): Структура коммуникации в свете лингвокогнитивного подхода (коммуникативный акт, дискурс, текст): автореф. дис.... д-ра филол. наук: 10.02.19. М., с. 386
13. Слышкин Г.Г. (2000): От текста к символу: лингвокультурные концепты прецедентных текстов в сознании и дискурсе. М.: Academia, С. 26
14. Кристева Ю. (2000): Бахтин, слово, диалог и роман // Французская семиотика: от струк-

турализма к постструктурализму / пер. с франц., сост., вступ. ст. Г. К. Косикова. М.: Прогресс. с. 427 - 457.

15. Кубрякова Е. С. (1995): Эволюция лингвистических идей во второй половине XX века (опыт парадигмального анализа) // Язык и наука конца XX века. М.: Рос. гуманитар. ун-т, с. 144 - 238.

16. Достоевский Ф. М. (1989): „Преступление и наказание” // Русская виртуальная библиотека. Л.: Наука, Ленинградское отделение

17. Акунин Б. (2011): Алмазная колесница: Роман в 2 т. М.: Захаров

18. Акунин Б. (2006): Ф. М. Роман в 2 т. М. Олма-Прес

19. Акунин Б. (2017): Азазель. М. Новый детектив

20. Окуджава Б. «Стать богатеем иной норовит...» // Сайт о поэте. URL: <http://www.bulatokudgava.ru/library/okujava/293.htm>

Реализация интертекстуальности в произведениях Б.Акунина

Джапошвили Тамар Тамазовна

Грузинский Университет им. Андрея

Первозванного

Факультет гуманитарных наук

Пр. И. Чавчавадзе №53а; Тбилиси, Грузия

Тел: 577 111 728

E-mail : tamunajap@gmail.com

Резюме

Процесс интертекстуальности в координатах художественной словесности и культурном пространстве в целом обеспечивается функционированием прецедентных феноменов, особая vitalность которых обнаруживается в тенденции к постоянному развитию, модифицированию. Прецедентные феномены представляют собой материальные знаки интертекстуальности, а их сверхличностный характер обусловлен их ши-

рокой известностью личности и её окружения, включая ее предшественников и современников.

Ключевые слова:

Акунин, интертекстуальность, Фандорин, дискурс, „Преступление и наказание“, Достоевский, „Алмазная колесница“, „Азазель“, Лингвокультурология, оними, пастиш.

Realization of Intertextuality in the Works of B. Akunin

Tamar Japhoshvili

Andrey Pervozvannis Georgian University

Faculty of Humanitarian Sciences

53 a, Chavchavadze av., Tbilisi, Georgia

Tel: 577 111 728

E-mail: tamunajap@gmail.com

Resume

The process of intertextuality in the coordinates of artistic literature and cultural space as a whole is provided by the functioning of precedent phenomena, the special vitality of which is revealed in the tendency to constant development, modification. Precedent phenomena are material signs of intertextuality, and their superpersonal character is due to their wide popularity of the person and its environment, including its predecessors and contemporaries.

Key words:

Akunin, intertextuality, Fandorin, discourse, “Crime and Punishment” Dostoevsky, “The Diamond Chariot”, “Azazel”, Linguoculturology, onims, pastish.

სემიოტიკაზე ორიენტირებული ტექსტის ჰერმენევტიკული ინტერპრეტაცია გ. გრასის რომანის „დედალი ვირთაგვა“ მიხედვით

ნინო ფალავანდიშვილი
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა
ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №53ა, თბილისი
საქართველო
ტელ: 597 999 184
E-mail: n.palavandishvili@europeanschool.ge

რეზიუმე

ჰერმენევტიკული წრის მიხედვით ტექსტის გაგება და მისი თარგმნა შესაძლებელია უნივერსალური აზროვნებითი კატეგორიების საშუალებით, რაც განაპირობებს სხვადასხვა ენის „სამყაროსეული სურათების“ გაგებას და სემიოტიკური კოდების მოდიფიკაციას, რის შედეგადაც ყოველი ეპოქისა თუ მთარგმნელისათვის იქმნება „გაგების“ ახალ-ახალი მოდელები.

საკვანძო სიტყვები:

სინტაქსური სტრუქტურა, ტექსტის ინტერპრეტაცია, ფრაზეოლოგიური ეკვივალენტი, ადეკვატური თარგმანი, სემიოტიკური ინტერპრეტაცია.

შესავალი

გიუნტერ გრასის რომანი „დედალი ვირთაგვა“ 1986 წელს გამოვიდა პირველად და გრასის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ამავე დროს ურთულეს წიგნად ითვლება. აქ ყველაფერია, მეზოზოური ერის სამყარო, სხვადასხვა პერიოდის კაცობრიობის ისტორია და კაცობრიობის შემდგომი სამყაროც, სადაც მხოლოდ ვირთაგვები ცხოვრობენ. „დედალი ვირთაგვა“ ტექსტის მარკერს წარმოადგენს. მისი სწორად თარგმნა მთარგმნელის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას შეადგენს, რადგან მისი შინაარსი კავშირ-

შია მთელ ტექსტთან და ამდენად დეიქტიკურ ფუნქციას ასრულებს.

აღსანიშნავია, რომ თავად სიტყვა „დედალი ვირთაგვა“ (die Rättin) გიუნტერ გრასის სიტყვათწარმოებითი შემოქმედების შედეგია, რადგან გერმანულ ენაში არსებობს მხოლოდ სიტყვა „ვირთხა“ (die Ratte), რომელიც მდედრობითი სქესისაა და სქესებს შორის განსხვავების კონოტაცია არ გააჩნია. ავტორი უკვე წყარო-ენის დონეზე ქმნის თავად ცნების პრობლემას. ავტორი მას საგანგებოდ ამატებს გერმანულისთვის დამახასიათებელი მდედრობითი სქესის სუფიქსს „in“ და ამით ცდილობს მთარგმნელს/მკითხველს დაეხმაროს ტექსტის შინაარსისა და იდეურ-ესთეტიკური ქარგის შეცნობაში. ამით იგი ახერხებს მთლიან ტექსტში ისეთი შინაარსობრივი ფენების შექმნას, რომლებიც სწორედ სათაურში გამოტანილი სიტყვისთვის მინიჭებულ კონოტაციებს უკავშირდება და გერმანულ ენაში უკვე არსებული სიტყვის („die Ratte“) ოპოზიციურ წყვილს ქმნის. სათაური ხშირად გვაძლევს ორიენტაციას ნაწარმოების ქარგაზე, შინაარსზე. ასეა ამ შემთხვევაშიც, დედალი ვირთაგვა თვითონ გახლავთ დიდი მეტაფორა, რომელიც თავის თავში მოიცავს მთელი ნაწარმოების არსს, მოცემულობას.

გრასის პროზის ენობრივი ქსოვილი სწორედ იმითაა რთული, რომ იგი უამრავ ურთიერთგამსჭვალავ კოგნიტურ ფენას მოიცავს, რის გამოც ნაწარმოების საზრისი მრავალწახნაგოვან განზომილებებს ქმნის.

შევეცადე ამ რომანის სემიოტიკური ინტერპრეტაცია მომეხდინა ჰაიდგერის „გაგების“ ცნების მიხედვით. „გაგების“ ცნება ხომ განსაკუთრებულ აქტუალობას თარგმნის პროცესში იძენს, როდესაც მას შუამავლის როლის შესრულება უხდება ორი ენის სემიოტიკური სისტემის „სა-

მყაროსეული სურათის“ და აზროვნების კატეგორიების გადმოცემის დროს.

„მხატვრული ტექსტის სემიოტიკური ინტერპრეტაციის პროცესი ყოველისმომცველია, იგი მოიცავს როგორც სემანტიკურ-სინტაქსურ, ასევე პრაგმატულ ანალიზსაც; რომლებიც ურთიერთგავლენას განიცდიან, და, ამდენად თარგმნილი ტექსტის „კულტურული დინამიკის“ მონაწილეები არიან“ [ვოლი 2002:241]. აღსანიშნავია, რომ ტექსტის თარგმნის ძირითად კონცეფციად ეკვივალენტური მოდელის პარამეტრებია მიჩნეული, მაგრამ ეკვივალენტური მოდელი წყარო-ტექსტის ნიშნების ზედმიწევნით ზუსტად თარგმნას გულისხმობს, სემიოტიკური პრინციპი კი, ჰერმენევტიკის პოზიციებიდან გამომდინარე, ტექსტის თარგმნის პროცესს მის მთლიანობაში გაიაზრებს.

მ. ჰაიდგერის „ჰერმენევტიკული წრის“ თანახმად, მხოლოდ მთლიანი ტექსტიდან გამომდინარე, შესაძლებელია მისი ცალკეული ნაწილების გაგება, და, მხოლოდ ცალკეული ნაწილების საშუალებით ხდება მთლიანი ტექსტის შემეცნება. მთელისა და ნაწილის ჰერმენევტიკულ წრეს, სრულყოფილად განხორციელებული გაგების დროს, ამ ნაწილების დაქსაქსვისკენ კი არ მივყავართ, არამედ პირიქით, მისი გათვალისწინებით ხდება საკუთარი საზრისის სრულყოფა.

გ. გრასის ტექსტის თარგმანმა დაგვარწმუნა, რომ მთარგმნელი ნ.გოგოლაშვილი ადეკვატური, ანუ ზუსტი თარგმანის დროს ჩართავს ენობრივ უნივერსალიებს, რაც მას საშუალებას აძლევს, გადმოიტანოს წყარო-ტექსტის წინადადების ყველა კომპონენტი. ამ საკითხზე მსჯელობისას, ნაკლებად სავარაუდოა იმის პროგნოზირება, რა ზეგავლენას ახდენენ თარგმნის პროცესზე ენობრივი უნივერსალიები ზოგადად, რომლებიც აბსტრაქტულ და მოუხელოებელ ფენომენებს წარმოადგენენ, მაგრამ შესაძლებელია იმ უნივერსალიების კლასების

ჩამოთვლა, რომლებიც თარგმანში აშკარად გამოვლინდება. ეს უნივერსალიები საერთოა ყველა ენისთვის, თუმცა მათ შორის განსხვავებები თარგმნის პროცესში, იქვე, წყარო და მიზან-ენის იმანენტურ სისტემაში გამოვლინდება.

უნდა აღინიშნოს, რომ იმპლიციტური (დაფარული) ენობრივი უნივერსალიების ფონზე, მთარგმნელი, მისი თეორიული კონცეფციიდან გამომდინარე, თარგმნის პროცესში ზუსტად იყენებს ტექსტის დამახასიათებელ ისეთ მარკერებს, რომლებიც საფუძვლად უდევს თარგმნის კოგნიტურ პროცესს.

გრასის ტექსტის თარგმანის ინტერპრეტაციამ დაგვანახა, რომ პირველ რიგში გამოვლინდება ის ენობრივი უნივერსალიები, რომელთა იმპლიციტური (დაფარული) არსებობა ხელს უწყობს თარგმნის პროცესის უპრობლემოდ წარმართვას. ასეთ შემთხვევებში გამოვლინდება მინიმალური განსხვავებები წყარო-ენასა და მიზან-ენას შორის და თარგმანი აბსოლუტურად ადეკვატურია, როგორც სემანტიკურ-სინტაქსური, ასევე პრაგმატული თვალსაზრისით, ასევე დადგინდა ის მთარგმნელობითი ეკვივალენტები, რომლებიც მთარგმნელს ეხმარება თარგმნის უშუალო პროცესში.

ეგრეთწოდებული “რთული” მხატვრული ტექსტების ჰერმენევტიკული ინტერპრეტაცია ესთეტიკური კატეგორიების მიღმა, მათ მთლიანი საზრისის დივინაციური პროცესის სიძნელეებს გულისხმობს. ამგვარი ინტერპრეტაციის დროს გამოიკვეთება წერილობითი დისკურსისადმი ახლებური მიდგომა, რომელიც ორიენტაციას კომპლექსური “გაგების” კატეგორიაზე იღებს; ამ კატეგორიის აქტუალობა განსაკუთრებით “რთული” ტექსტის თარგმნის პროცესში იჩენს ხოლმე თავს, როდესაც მთარგმნელი თავდაპირველად ტექსტის საზრისს ეცნობა, შემდეგ კი მის ცალკეულ ნაწილებს აანალიზებს, რათა საბოლოო ჯამში, “დაიხუროს” ის “ჰერმენევტიკული წრე”, რომლის

შიგნითაც იგი ტრიალებს. ამ “წრეში” მოქცევის გარეშე თარგმნის პროცესი ვერ განხორციელდება, რადგან, როგორც გადამერი აღნიშნავს, დედნის საზრისის თარგმანის ენაზე გადმოტანა შეუძლებელია დედნის ენის წინადადებათა წევრების ჩანაცვლებით, თარგმნის ენის წინადადებათა წევრების მეშვეობით.

ძირითადი ნაწილი

„დედალი ვირთაგვას“ ტექსტის თარგმანში ზემოთქმულის ილუსტრაციას წარმოადგენს მისი თორმეტივე თავის ავტორისეული ანოტაცია, რომლის თარგმანი შეიძლება, ტექსტის პარამეტრების გამოყენების თვალსაზრისით, სრულიად ადეკვატურად ჩაითვალოს. საილუსტრაციოდ მოვიყვანო წყარო-ტექსტის პირველი და მეორე ანოტაციის თარგმანებს;

„Das erste Kapitel, indem ein Wunsch in Erfüllung geht, in Noahs Arche kein Platz für Ratten ist, von Menschen nur Muell bleibt, ein Schiff oft seinen Namen wechselt, die Saurier aussterben, ein alter Bekannter auftritt, eine Postkarte einlädt, nach Polen zu reisen, der aufrechte Gang geübt wird und mächtig Stricknadeln klappern“ (Grass 1999:7).

„თავი პირველი, რომელშიც ნატვრას აღსრულება უწერია; ნოეს კიდობანში ადგილი ვერ გამოენახებათ ვირთხებს, ადამიანისაგან მხოლოდ ბუხოლა რჩება; გემი მრავალჯერ შეიცვლის სახელს; დინოზავრები აღიგვებიან პირისაგან მიწისა; მოგვევლინება ძველი ნაცნობი; ღია ბარათი პოლონეთში სტუმრად იწვევს მავანსა და მავანს; ორ-ორ ფეხზე წვრთნას გადიან და წკარაწკური გაუდის საქსოვ ჩხირებს“ [გრასი 2011:3].

პირველი თავის ანოტაციის თარგმანს თუ გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ იქ ენობრივი უნივერსალიების თვალსაზრისით ყველაფერი თარგმანის ადეკვატურობაზე მიიუთითებს; განსხვავებას იძლევა მხოლოდ

ენების იმანენტური სტრუქტურები, რაც ვლინდება სემანტიკურ-სინტაქსურ დონეზე; ამას ხელს უწყობს მთარგმნელის კრეატიული მიდგომა მიზან-ტექსტისადმი, რაც აუცილებელია, მისი მხატვრული და ესთეტიკური ხარისხის ასამაღლებლად. წყარო-ტექსტში გვხვდება გერმანული იდიომი: „in Erfüllung gehen“, რომლის დენოტატიური მნიშვნელობა ემთხვევა ქართულს: „რადაც შესრულდება, აღსრულდება“ - მთარგმნელი ამ გამოთქმას უმატებს ზმნას: „უწერია“ და ამით წინადადებას მხატვრულად სრულყოფილს ხდის.

იგივე შეიძლება ითქვას გერმანულ ზმნაზე „aussterben“, რაც „ამოწყვეტას“, „გადაშენებას“ ნიშნავს. მთარგმნელი ტექსტში ამ ზმნასაც ჩაანაცვლებს გამოთქმით: „აღიგვებიან პირისაგან მიწისა“, რაც სემანტიკური კონოტაციის ხარისხით აღემატება ამ ზმნის პრიმარულ, სალექსიკონო მნიშვნელობას.

ტექსტის სემიოტიკური ინტერპრეტაცია ყოველთვის გულისხმობს მასში ლინგვისტური ანალიზის ჩართვას, ამიტომ გვიხდება იმ კონკრეტული გრამატიკული მოვლენების შედარება, რომლებიც განსხვავებულია ენებს შორის. ქართულში ირიბი ნათქვამი გამოიხატება „ო“ სუფიქსით, ან ნაწილაკებით “მეთქი”, “თქო”. გერმანულ ენაში კი ყველა ირიბი გამონათქვამს თავისი დროითი ფორმები აქვს.

გიუნტერ გრასი ხშირად იყენებს კავშირებით კილოს, ორივე ძირითადი ფუნქციით, ისე როგორც ირიბ თქმას, ასევე ირეალობას. გერმანულ ენაში ეს არის კატეგორიულური სისტემა, რომელსაც გააჩნია ძალიან რთული სტრუქტურა ქართულისაგან განსხვავებით.

„მერე, თითქოს საბოლოო სიტყვას ამბობსო, დედალი ვირთაგვა დასძენს: „ასე დასამარდა კაცთა მოდგმის ყველაზე საშინელი იდეა და მისი უკანასკნელი ნაშიერიც აღიგავა პირისაგან მიწისა. ის, რასაც რკინ-

აზე ამოტვიფრული წარწერა გვეუბნება, ადამიანმა კი არა, ჩვენ გავითავისეთ! მისგან არაფერი დაგვრჩა ისეთი, რის არსებობასაც მომავალში აზრი ექნებოდა” [გრასი 2011:477].

„Und wie sie Schlussstrich zieht, sagt die Rätin: So wurde des Menschengeschlechts Schlimmster Gedanke gelöscht. Seine letzte Ausgeburt ist vertilgt. Was jene Schrift aus Eisen sagt, haben wir geübt, nicht der Mensch. Nichts zeugt von ihm, das fortleben könnte“ [Grass 1999:504].

ტექსტის საზრისი ყოველთვის აღემატება ავტორის მიერ ჩაფიქრებულ საზრისს; აქედან გამომდინარე, ტექსტის გაგება წარმოადგენს არა მხოლოდ რეპროდუქტიულ, არამედ ასევე პროდუქტიულ ქმედებასაც. „გაგების“ თეორიის კულმინაციას წარმოადგენს დივინაციის (გამოცნობა, ამოცნობა) აქტი, როდესაც ინტერპრეტატორი მთლიანად გადაერთვება ავტორის ტექსტზე და ცდილობს ამოიცნოს ყველაფერი გაუგებარი, რაც კი რამ არის ტექსტში [გადამერი 1991:78]. პრიკორი ტექსტის „გაგების“ პროცესს განიხილავს როგორც შუალედურ საფეხურს, ზედაპირული და სიღრმისეული სტრუქტურების ინტერპრეტაციას შორის. წერილობითი დისკურსის სიღრმისეული სემანტიკა მის არაოსტენტატიურ (დაფარულ) მიმართებებში ვლინდება, რაც ახალი „შესაძლებელი სამყაროების“ არსებობაზე მიუთითებს. ეს არის ტექსტის „სამყაროს“ ახლებური ხედვის პერსპექტივა, რომელიც ამ „შესაძლებელ სამყაროში“ ორიენტირების, მისი ათვისების და ჩვენი ცნობიერების გაფართოების საშუალებას გვაძლევს [რიკორი 1999].

სამაგიეროდ, ვნებითი გვარი ფართოდ გამოიყენება გერმანული გარდამავალი ზმნის სისტემაში. სინტაქსური კონსტრუქციები აქ ადვილად და ბუნებრივად იტანენ უქვემდებარო და უდამატებო შემასმენლის ფორმებს და ხშირად გამოიყენებიან როგორც მხატვრულ, ისე არამხატვრულ

ტექსტებში.

ამგვარი მაგალითები თარგმნის ტექსტში უამრავი გვხვდება. მაგალითად:

„Natürlich wurde gespottet“ [Grass 1999:8] - „რა თქმა უნდა, მასხარად ამიგდეს“ [გრასი 2011:4].

„Ein Rasierpinsel wurde belacht“ [Grass 1999:9] - „საპარსი ფუნჯის დანახვაზე კი ყველას გაეცინა“ [გრასი 2011:5].

წყარო-ტექსტში გამოყენებულია გერმანული ზმნის როგორც მოქმედების, ასევე მდგომარეობის პასივის ფორმები მოდალურ ზმნასთან, რაც მათი ქართულად თარგმნის პროცესში არა მხოლოდ ორივე ენის გრამატიკის, არამედ თარგმანის ენის სემანტიკური სისტემის კრეატიულად გამოყენებასაც მოითხოვს. ენობრივი უნივერსალიების დახმარებით შესაძლებელია მხატვრული ტექსტის ადეკვატური თარგმანის შექმნა, მაგრამ თარგმნის პროცესში იმ სემანტიკურ მნიშვნელობებს თუ სინტაქსურ კონსტრუქციებს, რომლებიც მხოლოდ წყარო-ტექსტისთვისაა დამახასიათებელი, მთარგმნელის პროფესიონალიზმი და ინტუიცია განსაზღვრავს.

გ. გრასი თავის ტექსტში ხშირად იყენებს ისეთ რთულ ზმნურ კონსტრუქციებს, რომელთა მნიშვნელობები გერმანულ გრამატიკაში მხოლოდ აღწერილობით ხასიათს ატარებს, ხოლო ქართულში კი მათ საერთოდ არ მოიხსენიებენ. მართალია, ავტორთა უმრავლესობა მათ იშვიათად იყენებს, მაგრამ გრასის ტექსტში ისინი ხშირად გვხვდება და მთარგმნელის მიერ მათ სწორად თარგმანს მისი წინარე ცოდნა და გამოცდილება განაპირობებს.

ასეთი კონსტრუქციებია მოდალური ზმნა + ინფინიტივი, სადაც მოდალური ზმნები კარგავენ თავიანთ პრიმარულ მნიშვნელობებს და სხვა მოდალურ სისტემაში გადადიან, რაც, ბუნებრივია, ქართულ თარგმანშიც გამონათქვამის სემანტიკას ცვლის.

გრასის ტექსტის თარგმანის ინტერპრეტაციის დროს ჩვენთვის საინტერესოა სწორედ

ტექსტის გრამატიკის ეს კონსტრუქციები, რომლებიც არსებობენ წყარო-ენაში და არ არსებობენ მიზან-ენაში. ამიტომ აქ მათ მთარგმნელმა შესაბამისი კონსტრუქცია უნდა შეუერთოს, რომელიც შესაბამის სტატუსს დაიმკვიდრებს ტრანსლატიკაში. ასეთია, მაგალითად, კონსტრუქცია: მოდალური ზმნა sollen + ინფინიტივი.

„Dort soll nach siebenhundertjahren jenes Rattenfaengers gedacht werden, der während Zeiten grossen Wirus und fiebriger Extase... tausend und mehr Ratten in den Fluss gelockt hat, auf dass alle ersoffen. Nach anderer Legende soll er ausserdem Kinder auf Niemerwiedersehenentführt haben“ [Grass 1999:43].

„იქ თურმე შეიდასი წლის შემდეგ პატივი უნდა მიაგონ ვირთხებზე მონადირის ხსოვნას, რომელსაც ათასობით ვირთხა შეუტყუებია მდინარეში ჩასახრჩობად. ეს ის დროა, როდესაც ქვეყანაში დიდი არეულობა ყოფილა და ყველანი ციებ-ციხელებიან აღტკინებას შეუპყრია. ამოვრე ლეგენდის თანახმად, ვირთხებზე მონადირეს ბავშვები გაუტაცია და ისინი უკან აღარ დაბრუნებულან“ [გრასი 2011:39].

სემანტიკურ ტრანსფორმაციათა განსაკუთრებული სახეობა, რომელშიც აღინიშნება სემანტიკური ერთეულების კონოტაციური მნიშვნელობათა თარგმანში შენარჩუნება ან ნეიტრალიზაცია, უმეტესად დაკავშირებულია ფრაზეოლოგიის სფეროსთან და თავს იჩენს მეტწილად მხატვრულ თარგმანში. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს შეპირისპირებულ ენათა ლექსიკურ - ფრაზეოლოგიურ ფონდებში დამკვიდრებული და აღნუსხული ფრაზეოლოგიზმები.

გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ ე.წ. ფრაზეოლოგიზმებს განეკუთვნება უმეტესად ისეთი სიტყვათშეთანხმებანი, რომლებიც შეიცავს გარკვეულ ხატოვანებას, მეტაფორისა და მეტონიმიის ეფექტს, ტრანსფორმაციის სახეობებს, რომლებსაც ეს ენო-

ბრივი ერთეულები საჭიროებს თარგმანში, ვანსხვაგვებთ სწორედ მათი კონოტაციური მნიშვნელობის შენარჩუნების, შექმნის ან პირიქით - მათი ნეიტრალიზაციის ნიშნით.

ტექსტის ამ ორენოვანი ვარიანტის ბჭკარედული შეპირისპირებისას თავს იჩენს ის გარემოებაც, რომ სემანტიკური ტრანსფორმაციები გამონათქვამის სტრუქტურულ აგებულებაშიც იწვევს რადიკალურ ცვლილებებს. მაგალითად, ორიგინალის მარტივ წინადადებაში მეტაფორულად გამოთქმული აზრი -

„Hat auch seine Dinger gedreht. Und was für Dinger, oh Gott! Hab ganz schön schlucken müssen manchmal“ [Grass 1999:155] ქართულში მთარგმნელს შემდეგნაირად აქვს გადმოცემული: „თავისი ოფოფები იმასაც ჰქონდა და ღმერთო ჩემო, თანაც როგორი! ხანდახან იძულებული ვიყავი, ყველაფერი გადამეყლაპა და მის საქციელზე უბრალოდ თვალი დამეხუჭა“ [გრასი 2011:150]. ზუსტი თარგმანი კი, ჩემი აზრით, იქნებოდა: „ხშირად თავისას ერეკებოდა, დანაშაულს ჩადიოდა“.

ზოგიერთი გერმანული ფრაზეოლოგიზმის გადმოსაცემად ნ. გოგოლაშვილი აღწერით თარგმანს მიმართავს. სმაგალითად, იდიომა “Mann!” ruft die Alte, die für niemand strickt, sondern Mohrrüben putzt, Mann! Seid ihr Weiber durchgedreht“ [Grass 1999:155] ქართულ თარგმანში გადმოცემულია ფრაზით „ეი, ხალხო! რა გჭირთ, სულ მთლად მოჩოლოფოთებულხართ“ [გრასი 2011:150], ანუ, ქალოები გამხდარხართ, რაც შინაარსობრივად (და არა ფრაზეოლოგიური ფორმით) შეესაბამება გერმანულ იდიომას.

ამასთანავე, გვაქვს შემთხვევები, როდესაც მთარგმნელი გერმანულ თავისუფალ შესიტყვებას ქართულ თარგმანში ფრაზეოლოგიზმებს უფარდებს:

„დედალი ვირთავკას მომდევნო მოხსენება საქმის ისეთი ცოდნითა და სიტყვამრავ-

ლობით გამოირჩეოდა, რომ კაცს სიზმარშიც კი სიქას აცლიდა“ [გრასი 2011:164] „Der nur folgende Vortrag der Rätin war so fachkundig weitschweifig, dass er im Traum noch ermüdete“ [Grass 1999:170].

ქართულ თარგმანში ვხვდებით რამოდენიმე ადგილზე გერმანული ტექსტის შეკვეცის მომენტებს, მაგალითად: „ყმაწვილს დიდი ვაივაგლახით დავამაგრეთ ზედ, რადგანაც ეს პაწია არსებაც მოხუცთან ერთად სხვა ადგილას უნდა გადაგვეყვანა“ [გრასი 2011:337]. „Es machte Mühe, des Kerlchens Ringe und sein Brillengestell, die nicht geschrumpft waren, zu befestigen, den auch den Winzling wollten wir transportieren“ [Grass 1999:355]. გერმანული სიტყვა Mühe, რომელიც ქართულად “გარჯას” ნიშნავს, მთარგმნელმა „დიდი ვაივაგლახით“ შეცვალა, ვფიქრობ, რომ ეს სიტყვა ძირითადად დიდი ემოციის, შთაბეჭდილების გამოსახატადაა ნახმარი.

„ვლაპარაკობ აქეთურსა და იქეთურზე“ [გრასი 2011:347] - ეს ის შემთხვევაა, როდესაც თარგმანში ჩამატებულია სიტყვები, როდესაც მთარგმნელი კრეატიულად იყენებს კოდის შეცვლის მეთოდს, როცა იგი იჭრება საკუთარი სემიოტიკური კოდით და ამგვარად მეტ ელფერს სძენს წინადადებას.

„თარგმანში არაა აუცილებელი ორიგინალის ხატოვან გამოთქმებს ან სხვა გამომსახველობით ხერხებს ყოველთვის მოვუნახოთ წმინდა ქართული შესატყვისი, აქ უნდა გავარჩიოთ ავტორისეული და ტრადიციული მხატვრული საშუალებანი. ხშირად ავტორისეული გამომსახველობითი ხერხების შესაფერისი ფორმით ზუსტად გადმოტანა ამდიდრებს მშობლიურ ენას და გარდა ამისა, ანიჭებს თარგმნილ ნაწარმოებს იმ უცხო ელფერს, რაც ჩვენი აზრით, თარგმანს უჭკველად უნდა ახლდეს თან“ [ფანჯიკიძე 1980:19].

„ტექსტის „გაგების“ სიღრმისეული, სემანტიკური მეთოდი, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს მის მიმართებას მკითხველ-

თან, რომელსაც თითქოსდა გზა ეხსნება ტექსტის საზრისის დეფორმაციისკენ, მაგრამ ტექსტის ინტერპრეტაციის აღნიშნული მოდელი ცხადყოფს, რომ „გაგებას“ არაფერი აქვს საერთო უცხო გაისტური შინაარსის ემოციონალურ იდენტიფიკაციასთან. „გაგება“ მთლიანად დაკავშირებულია ექსპლანატორულ მეთოდთან, რომელიც წინ უძღვის, შემდეგ კი მუდამ თან ახლავს ტექსტის ინტერპრეტაციას, რაც თავისთავად გამორიცხავს სუბიექტური ფაქტორის გადამეტებას. ამრიგად, ექსპლანატორული მეთოდი ხელს უწყობს ტექსტის პარადიგმული ხასიათის დამკვიდრებას უკანასკნელ იმპლიკაციამდე“ [რიკიორი 1999:293].

ტრანსფორმაციის საჭიროება, ხშირ შემთხვევაში, წარმოიქმნება ასევე ენათა სემანტიკური ველების განსხვავებულობის ნიადაგზე, სიტყვათა ლექსიკური ან სინტაქსური ვალენტობის არაერთგვაროვნების გამო და, მით უფრო შეპირისპირებული ენების სახეობრივი მეტყველების განსხვავებულ სისტემათა საფუძველზე, რაშიც, საზოგადოდ, ყველაზე მეტადაა გამოვლენილი ეთნოკულტურული სპეციფიკა და ამდენად, ეროვნული კოლორიტიც. ამიტომ, რომ სახეობრივი მეტყველების (ანდაზა, აფორიზმი, ფრაზეოლოგიზმი) ტრანსფორმაცია თარგმანში განსაკუთრებულ ზომიერებას მოითხოვს.

დასკვნა

მთარგმნელმა ნანა გოგოლაშვილმა ენობრივი უნივერსალიების დახმარებით შეძლო გიუნტერ გრასის მხატვრული ტექსტების ადეკვატური თარგმანის შექმნა. იმ გრამატიკულ კონსტრუქციებს, რომლებიც არსებობენ წყარო-ენაში და არ არსებობენ მიზან-ენაში, მთარგმნელმა ადეკვატური ფორმები შეურჩია.

იმპლიციტური ენობრივი უნივერსალების ფონზე, მთარგმნელი ნანა გოგოლაშვილი, მისი თეორიული კონცეფციიდან გამომდინარე, თარგმნის პროცესში ზუსტად იყენებს ტექსტის დამახასიათებელ ისეთ მარკერებს, რომლებიც საფუძვლად უდევს თარგმნის კოგნიტურ პროცესს.

წარმოდგენილი გრამატიკული უნივერსალები და აფორიზმები მთარგმნელების მიერ, ძირითადად, ადეკვატურად არის თარგმნილი, ისევე როგორც დედანში, თარგმანებშიც აზრი ლაკონურად არის გათვალისწინებული.

წყარო და მიზან-ენებში უნივერსალური აზროვნებითი კატეგორიების გამოვლინების ერთ-ერთ საშუალებას ნანა გოგოლაშვილისათვის წარმოადგენს გერმანული ენის სიღრმისეული და ზედაპირული სტრუქტურების შედარების მეთოდი.

ლიტერატურა

1. Grass Günter (1999): Die Rättin. Deutscher Taschenbuch Verlag GmbH&Co.KG, München
2. გრასი გიუნტერ (2011): „დედალი ვირთავა“. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა (მთარგმნელი ნ. გოგოლაშვილი)
3. ფანჯიკიძე დ. (1980): ენა, თარგმანი, მკითხველი. თბილისი
4. Klaus Binder/Kalle Giese (1986): Günter Grass „Die Rättin“. Darmstadt:Hermann Luchterhand Verlag GmbH
5. Gadamer Hans-Georg (1990): „Wahrheit und Methode“, Tübingen

6. Volli Ugo (2002): „Semiotik: Eine Einführung in ihre Grundbegriffe“, A.Franke Verlag, Tübingen und Basel

7. Ricoeur Paul (1999): „Philosophische Hermeneutik“, in „Philosophische Hermeneutik, zusammengestellt von Hanz-Ulrich Lessingm BD.7. Breisgau, München

Герменевтическая интерпретация текста, ориентированная на семиотику. На основе романа Германа Гессе «Крыса»

Палавандишвили Нино Павловна
Грузинский Университет им. Андрея
Первозванного
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе №53а; Тбилиси, Грузия
Тел.: 597 999 184
E-mail: n.palavandishvili@europeanschool.ge

Резюме

По герменевтике понятие текста и его перевод возможен средствами категории универсального мышления, что определяет понятие “мировой картины” в разных языках. По этой картине для каждой эпохи и каждого переводчика создаются новые модели “понятия мира”.

Ключевые слова:

синтаксическая структура, интерпретация текста, фразеологический эквивалент, адекватный перевод, семиотическая интерпретация.

**Hermeneutical Interpretation
of the Text
According to the Novel „The Rat“
by G. Grass**

Nino Palavandishvili

Andrey Pervozvannis Georgian University

Faculty of Hummanitarian Sciences

53 a, Chavchavadze av., Tbilisi, Georgia

Tel: 597 999 184

E-mail: n.palavandishvili@europeanschool.ge

Abstract

On the concept of hermeneutics of text and its translation is possible by generic meaning and categories of thinking that defines the concept of "world" in different languages. According this picture for every era and every translator creates new models of "peace meaning".

Keywords:

syntax structure, text interpretation, phraseological equivalent, an adequate translation, semiotic interpretation.

ავტორები

ციური ახელედანი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგია, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს-პროფესორი

ქეთევან გაბუნია – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

რუსუდან გოცირიძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი, ოქსფორდის საუნივერსიტეტო საზოგადოების ასოცირებული წევრი

თამარ გელაშვილი – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ინგლისური ენის პედაგოგი

მარინა ზორანიანი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სოფიო კახიძე – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ევროპეისტიკის დეპარტამენტის დოქტორანტი

მანანა კიკილაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ენების ცენტრის ინგლისური ენის პედაგოგი

მარინე კობეშავიძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

რუსუდან თაბუკაშვილი – საქართველოს უნივერსიტეტი, უცხოური ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ქეთევან ძულიაშვილი – თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. №23 სკოლის ფრანგული ენის პედაგოგი

ნინო ჭრიკიშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ფარზინ ღობადიდადიკოლაეი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების დოქტორანტი

თამარ ჯაფოშვილი – საქართველოს საპარტიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

ნინო ფალავანდიშვილი – საქართველოს საპარტიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

ქურნალის რედკოლეგია

- მაია ჩხეიძე** – საქართველოს უნივერსიტეტი, ენების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- რუსუდან თაბუკაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
- ვიოლა ფურცელაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ია ჩიქვინიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- ჰანს რუდიგერ ფლუკი** – ბოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
- კულპაშ ბეიბიტოვა** – ვერაზის გუმილიოვის სახ. ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (ქ. ასტანა)
- ტანია გრისჰამერი** – ფილოლოგიის მაგისტრი (DAAD)
- ქეთევან გაბუნია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, რომანული ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
- მარია მიხაილოვა** – მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსი
- სილვია ბოტევა** – სოფიის წმინდა კლემენტ ოპრიდელის სახელობის უნივერსიტეტი, რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ტატიანა მეგრელიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ალბა გრაციანო** – იტალიის ქ. ტუსციას უნივერსიტეტი, ენების ცენტრის დირექტორი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი
- ალესანდრა სპადაფორა** – იტალიის ქ. ტუსციას უნივერსიტეტი, ენების ცენტრი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- გიორგი ყუფარაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- რუსუდან გოცირიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ოქსფორდის საუნივერსიტეტო საზოგადოების ასოცირებული წევრი

Редколлегия журнала

- Майя Чхеидзе** – Грузинский университет, руководитель департамента языков, доктор филологических наук, профессор
- Русудан Табукашвили** – Грузинский технический университет, департамент иностранных языков, академический доктор филологии, профессор
- Виола Пурцеладзе** – Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили, доктор филологических наук, профессор
- Ия Чиквинидзе** – Грузинский технический университет, департамент иностранных языков, академический доктор филологии, ассоциированный профессор
- Ганс Руддигер Флук** – Профессор Бохумского университета, доктор филологических наук, профессор
- Кульпаш Бейбитова** – Профессор национального университета Евразии им. Гумилева (г. Астана), доктор филологических наук
- Таня Грисхаммер** – Магистр филологии (DAAD)
- Кетеван Габуния** – Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили, факультет гуманитарных наук, академический доктор филологии, руководитель направления романской филологии, профессор
- Мария Михайлова** – Московский государственный университет им. М. Ломоносова, доктор филологических наук, профессор, академик Российской Академии Естественных Наук (РАЕН)
- Сильвия Ботева** – Софийский университет им. Святого Клементя Охридского, руководитель департамента романской филологии, профессор
- Татьяна Мегрелишвили** – Грузинский технический университет, департамент иностранных языков, доктор филологических наук, профессор
- Альба Грациано** – Университет г. Тусция (Италия), директор центра языков, профессор
- Алессандра Спадафора** – Университет г. Тусция (Италия), доктор филологии, ассоциированный профессор центра языков
- Георгий Купарадзе** – Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили, факультет гуманитарных наук, академический доктор филологии, ассоциированный профессор
- Русудан Гоциридзе** – Грузинский технический университет, департамент иностранных языков, академический доктор филологии, профессор, ассоциированный член Оксфордского Университетского Общества

Scripta manent

Editorial board

Maia Chkheidze – Head of the Languages Department of Georgian University, Doctor of Philological Science, Professor

Rusudan Tabukashvili – Georgian Technical University, the department of foreign languages, Academic Doctor of Philology, Professor

Viola Purzeladze – Tbilisis' State University, Doctor of Philological Science, Professor

Ia Chikvinidze – Georgian Technical University, the department of foreign languages, Academic Doctor of Philology, Associated Professor

Hans Rudiger Fluck – Professor of the Bokhums' University, Doctor of Philological Science

Kulpash Beibitova – Gumilev's National Eurasian University (Astana), Doctor of Philological Science, Professor

Tanya Griskhamer – Master of Philology (DAAD)

Ketevan Gabunia – Tbilisis' State University, Faculty of Humanitarian Sciences, Head of the Direction in Romanian Philology, Academic Doctor of Philology, Professor

Maria Mikhailova – Moscow's State University, doctor of Philological Science, the academician of Russian Academy on the Nature Study (RANS)

Sylvia Boteva – Sofia's University of Holy Klement Okhridsky, the leader of the romanian philology department, professor

Tatiana Megrelishvili – Georgian Technical University, Department of foreign languages, Doctor of Philological Science, Professor

Alba Graziano – University of Tuscia, Italy, Language Center Director, Professor

Alessandra Spadafora – University of Tuscia, Italy, Language Center, Doctor of Philology, Associated Professor

Georgi Kuparadze – Tbilisis' State University, Faculty of Humanitarian Sciences, Academic Doctor of Philology, Associated Professor

Rusudan Gotsiridze – Georgian Technical University, the department of foreign languages, Academic Doctor of Philology, Full professor, the associate member of Oxford's University Society